სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 3 სექტემბერი 2008 №202 (3426) ფასი 50 თეთრი

ჩვენ მთელი გუნდი ვართ!

მაინცში ერთი რამ უკვე შესრულდა: ნაკრები, რომელიც უკრები იყო



ბადრი ქეთილაძის ფოტო

სეგრტმა კარიერა ტრაქტორზე შეაგდო

ბადრი ქეთილაძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუპერმა უკვე 24-მდე დათვალა
მაინცში საქართველოს ტრადიცია დაარღვია

მესამე დღე გაატარა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა გერმანულ მაინცში და უკვე 24 ფეხბურთელი მოუგროვდა ექტორ რაულ კუპერს. როგორც უკვე ვწერდით, რუბინელებს, დავით კვირკველიას და ლაშა სალუქვაძეს გერმანიაში ჩასვლა უგვიანდებოდათ. ისინი დღეიდან შეუერთდებიან ნაკრებს, სხვა დანარჩენი კი უკვე მაინცშია და გუშინ ივარჯიშეს კიდეც.

ერთადერთი დანაკლისი ახალგაზრდა მცველი მათე ღვინიანიძე იყო. მას „მიუნხენ 1860“-ის ბოლო ვარჯიშზე ფეხი უტკენია და კუპერმა გუშინ დაასვენა.

როგორც შევიტყვეთ, საშიში არაფერია და მათე დღეიდან უკვე სრული დატვირთვით ივარჯიშებს.

გუშინ კი ნაკრებს ისევ ორი ვარჯიში ჰქონდა და ორივე საკმაოდ ნაყოფიერი — დილით მწვრთნელმა ისევ ფიზიკური წვრთნა ჩაუტარა შეგირდებს, საღამოს კი კომბინაციების დამუშავება დაავალა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის უფროს სანდრო ცნობილაძის ცნობით, თავს ყველა კარგად გრძნობს, განწყობაც საბრძოლოა და ყველა სულმოუთქმელად ელის ირლანდიასთან თამაშს.

საინტერესო დეტალი: ბოლო წლებს თუ გადავხედავთ, პირველი შემთხვევაა, როცა ნაკრებში გამოძახებული აბსოლუტურად ყველა ფეხბურთელი გამოცხადდა შეკრებაზე. ასეთი რამ აქამდე კიდევ როდის მოხდა, ძალიან ძნელი გასახსენებელია.

და ერთიც: საქართველო — ირლანდიის 6 სექტემბრის შესარჩევი მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებელი გეგმავს.

ბახა შალამბერიძე



დავით კვირკველია და ლაშა სალუქვაძე გერმანიაში დღეს ჩავლენ

საქართველოს ეროვნული ნაკრების მესამე სავარჯიშო დღე მაინცში: ექტორ რაულ კუპერის განკარგულებაში კვირკველია-სალუქვაძის გარდა, ყველა ფეხბურთელია. რაც მთავარია, ყველა ჯანმრთელადაა და მოახლოებულ მატჩებს საბრძოლო განწყობაზე ხვდებიან. თბილისის „დინამოს“ და ნაკრების მარჯვენაფლანგელმა დავით ოდიკაძემ გვითხრა, ასეთ განწყობაზე არასოდეს ვყოფილვარ, ერთი სული მაქვს, როდის მოვა 6 სექტემბერიო. „ოდოს“ გერმანიაში შევეხმიანეთ და, ცხადია, უელსთან ამხანაგურ მატჩზეც ვკითხეთ...

დავით ოდიკაძე: ასეთი განწყობა არასოდეს მქონია
ექტორ რაულ კუპერის პირველი ქართული სიტყვები: მოგება მინდა!

— ჯერ მზადების პროცესზე გვითხარი...

— კარგ პირობებში ვართ, ვარჯიშებიც ინტენსიური და მრავალმხრივია. ჩვენი სასტუმროდან სავარჯიშო სტადიონამდე 20 წუთის სავალია, ხოლო იმ მოედანზე, სადაც თამაში გვექნება, ჯერ არ ვყოფილვართ.

— ექტორ რაულ კუპერმა რა ანალიზი გაუკეთა უელსთან მატჩს?

— თამაშის შემდეგ მონდომებისთვის შეგვაქო და მოგება მოგვილოცა. კარგია, რომ ბოლომდე იბრძოლეთო. რაც შეეხება შენიშვნებს: პირველ ტაიმში არეულები იყავით, სათამაშო დისციპლინა არ იყო სასურველ დონეზეო.

— ზოგადად რას იტყვი კუპერზე — უკვე ასე თუ ისე გაიცნობ. მინდორს მიღმაც მკაცრია?

— საქმეში ძალიან მკაცრია და არცერთ დეტალს უყურადღებოდ არ ტოვებს. მინდორს მიღმა კი მეგობრულია. ძალიან კარგი პიროვნებაა. აი, ირლანდიასთან თამაშამდე ქართულად გვეძახის, მოგება მინდაო.

— უელსთან თამაშის წინ რა სიტყვებით შეგმართათ? „დაქოქვა“ კარგად შეუძლია?

— ძალიან შემართული კაცია, უელსთან თამაშის წინ ის გვითხრა, რაც უნდა ეთქვა: დღეს მთელი საქართველო თქვენ გიყურებთ, ხალხი უნდა გაახაროთო. ასეთივე სიტყვებით მოგვმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა.

— კუპერის „ვალენსიასა“ და „ინტერში“ მუშაობისას გვახსოვს, მატჩის წინ გასახდელიდან გამოსვლისას ფეხბურთელებს მკერდზე ხელს ურტყამდა და ასე ამხნევებდა. ახლაც ასეა?

— დიახ. ესეც თავისებური შემართვაა საბრძოლველად.

— ბოლოდროინდელი პოლიტიკური მოვლენების ფონზე, ალბათ, კარგი განწყობა გაქვთ...

— არც მახსოვს, როდესმე მქონია თუ არა ასეთი განწყობა. თავს შევაკლავთ ირლანდიას და იმედი მაქვს, მოვიგებთ კიდეც.

— მაინცში ადგილობრივი გულშემატკივრები და ჟურნალისტები არ მოდიან თქვენთან?

— საკმაოდ ბევრნი. ქუჩაშიც რომ გვხვდებიან და გაიგებენ, რომ ქართველები ვართ, გვიღიმიან, თქვენთან ვართო და რუსებს „ამკობენ“ ლამაზი სიტყვებით.

— ქართველები ბევრნი ცხოვრობენ მაინცში?

— როგორც გავიგე, კი. აქაური გულშემატკივრების იმედიც გვაქვს.

ილია ნანობაშვილი

ირლანდია მაინცამდე პრობლემებით ვარჯიშობს

ირლანდიის ნაკრებმა საქართველოსთან 6 სექტემბრის მატჩისთვის მზადება დაიწყო.

ბრიტანელთა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ 21 რჩეული „ტენონ პარკზე“ შეკრიბა და საათნახევრიანი წვრთნა ჩაატარა.

„ტრაპი“ და მისი რაზმი გერმანულ მაინცში ხუთშაბათს გაფრინდებიან და იქ გააგრძელებენ მზადებას.

ირლანდიას რომ ინგლისური „უიგანის“ გამოცდილი მარცხენაფლანგელი კევინ კილბეინი გამოაკლდა, ამაზე უკვე ვწერდით. გარდა ამისა, სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობენ ინგლისური „ბოლტონისა“ და ესპანური „ესპანიოლის“ მცველები, ჯეი ობრაიენი და სტივ ფინანი, თუმც, სავარაუდოდ, მათ საქართველოსთან თამაში მაინც შეეძლებათ.

ილია ნანობაშვილი

პორტუგალია
სუპერლიგა

ბრაგა 0:1 სპორტინგი

შვედეთი
სუპერეტა

ფალკენბერგი 1:2 იორგრიტე

ფინეთი
იკონენი

ჰაამენლინა 1:0 ვიიკინგიტი

ამხანაგური მატჩი
მიუნსტერი 0:7 დორტმუნდი

პოლონეთი
თასი

D ჯგუფი

ლოძი 1:4 იაგელონია

პოლონია 1:1 ლეგია

ინგლისი
კონფერენსლიგა

ბაროუ 1:1 რაშდენი

ძროული 2:1 გრეისი

ისტბორნი 1:0 ფორესტ გრინი

ებსფლიტი 1:1 კემბრიჯი

ჰისტონი 1:0 ალტრინჩემი

კეტერინგი 1:0 სტივენეიჯი

ნორთსვიჩი 1:2 ოქსფორდი

სალისბერი 1:0 ვეიმუთი

უოკინგი 1:1 ლეი

რექსემი 0:1 ბარტონი

იორკი 1:1 მენსფილდი

სამხრეთ კონფერენსლიგა

ბეისინგსტოკი 0:0 უორჩესტერი

ბეთი 0:1 ჰეიესი

ბოგნორი 0:0 უელინგი

ბრაინტრი 0:1 უიმბლდონი

ბრომლი 2:2 ჩელმსფორდი

დორჩესტერი 2:2 თიმ ბეთი

სტ ალბანსი 3:0 ბიშოპი

ტაროკი 3:3 ჰემპტონი

ჩრდილოეთ კონფერენსლიგა

ალფრეტონი 1:1 ტემუორთი

ბლითი 3:0 ჰაიდი

ბარსკო 0:1 ვაუქსჰალი

ფლითვუდი 0:1 გეითშეიდი

ჰეროგეიტი 2:0 ტელფორდი

რედიჩი 2:2 ჰაკნალი

სტეფორდი 0:0 კინგს ლინი

სტელიბრიჯი 5:0 სოლიჰალი

LDV ვანს ტროფი

ძრიუ 3:0 მაკლსფილდი

ჰარტლპული 0:3 ლესტერი

ტრანმერი 1:0 აკრინგტონი

სტოკპორტი 1:0 პორტ ვეილი

სკანთორპი 2:1 ნოტსი

ბრენტფორდი 2:2 (4:2პ) იოვილი

ლიდსი 2:1 ბრედფორდი

ოლდემი 1:1 (4:5პ) მორეკემბი

ალდერშოტი 2:2 (6:7პ) სუინდონი

ბორნმუთი 3:0 როვერსი

დაგენემი 4:2 ბარნეტი

ექსეტერი 1:2 შრიუსბერი

მილუოლი 0:1 კოლჩესტერი

ნორთჰემპტონი 0:1 ბრაიტონი

საუთენდი 2:4 ლეიტონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სორპატის კარიერის მატჩი

საქართველომ 20 ნოემბერი უნდა გაიმეოროს

„**დიახ,** ეს ჩემს კარიერაში უმნიშვნელოვანესი მატჩი იქნება, ჩემთვის რუსეთის ნაკრებთან თამაში ჩემპიონთა ლიგის და მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩზე მეტიც კია“ — გულზე მჯიღი დაირტყა და ელვარე თვალებით გვიპასუხა საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების ხორვატმა თავკაცმა პეტარ სეგრტმა, როდესაც 5 სექტემბრის თამაშზე შევეკითხეთ.

ხორვატ მწვრთნელს საგურამოში, „ამერის“ ბაზაზე 30-ზე მეტი ფეხბურთელი ჰყავდა შეკრებილი, ტრადიციულად, ომახიანი და ემოციებით სავსე იყო ვარჯიშზე.

სანამ ბიჭებს წვრთნას დააწყებინებდა, სეგრტს გავესაუბრეთ...

— **სადღეისოდ ყველა გამოძახებული ფეხბურთელი ჩამოსულია და ვარჯიშობს. დანაკლისი კი მაინც საკმაოა, ტრავმები არ აგცდათ...**

— რევაზ ბარაბაძე, გიორგი მერებაშვილი, დავით მჭედლიშვილი და ვახტანგ ფანცხავა ტრავმირებულები არიან, მირზა ბჟალავა ვარჯიშობს, მაგრამ დისკვალიფიკაციის გამო რუსეთთან არ იქნება. აღარაფერს ვლაპარაკობ იმ ფეხბურთელებზე, რომლებიც ეროვნულ ნაკრებში არიან გამოძახებულნი. ეს დანაკლისია, მაგრამ ქვეყნის სახე ეროვნული ნაკრებია და მეამაყება, რომ იქ ამდენი 21-წლამდელია. დღეს კი სარუსეთო შემადგენლობა შეივსო — გიორგი ივანიშვილი, დავით დევდარიანი, გიორგი ფოფხაძე, სანდრო კობახიძე და ამირან სანაია შემოგვიერთდნენ.

...მაგრამ არ გეგონოთ, ვწუწუნებდე. მე ძალიან კარგი ფეხბურთელები მყავს. გადახედეთ, ისინი ქართული ფეხბურთის მომავალნი არიან, გუნდში 16 წლის ბაქარ მირცხულავაცაა.

— ასეთ მდგომარეობაში იყავით შარშან, 20 ნოემბრის თამაშის წინაც, თუმც რუსეთს მაინც მოუგეთ...

— დიახ, მართალია, მაშინაც და ახლაც მყავს ისეთები, რომლებსაც ახალგაზრდულ ნაკრებში ასეთი ბევრი მატჩი ჩაუტარებიათ, მაგრამ გპირდებით, ეს ბიჭები თავს დადებენ რუსეთთან — აქ უკვე ლაპარაკი არაა ჩვენი, მწვრთნელების ფინანსურ პრობლემებზე, ახლა ხელფასებზე ლაპარაკის დრო არაა, ახლა რუსეთთან გამარჯვების დროა!

— შეიძლება ითქვას, რომ 5 სექტემბერს პეტარ სეგრტის სამწვრთნელო კარიერაში უმნიშვნელოვანესი მატჩია?

— ულაპარაკოდ. მეც და ჩემს ფეხბურთელებსაც გათავისებული გვაქვს, რა მატჩი გველის პარასკევს. მე კიდევ ერთხელ დავინახე ქართველი ხალხის ერთიანობა, მათი გაუტეხელი სული. ისინი დიდ სიხარულს იმსახურებენ!

მერე კი ვარჯიში დაიწყო. სეგრტმა 10 ფეხბურთელი ამპლუის მიხედვით დააყენა და ოთარ გაბელიას, გელა შეყილაძესა და სერგო კოტრიკაძესთან ერთად ბურთის წართმევაზე და კონტრშეტევებზე ამუშავა. როდესაც ეს 10 ფეხბურთელი ბურთით ვარჯიშობდა, სეგრტის კიდევ ერთი თანაშემწე ლევან ხომერიკი მინდვრის კიდესთან ფიზიკურად ავარჯიშებდა დანარჩენებს. შემდეგ ისინი შეენაცვლნენ — „ბურთიანები“ „ფიზიკაზე“ გადაერთვნენ და პირიქით...

იყო ორკარაც და სეგრტი ხმის ჩახლეჩამდე ამხნევებდა ან საყვედურობდა შეგირდებს. ჯერ ადრეა, თამაშამდე კიდევ ორ დღეს ივარჯიშებენ 21-წლამდელები, მაგრამ ისე ჩანდა, რომ სეგრტი შეტევაში ამ ოთხეულს უფრო ენდობა — ფლანგებზე დავით თარგამაძე და სანდრო კობახიძე, უკანდაწეული ფორვარდი დევდარიანი და სულ წინ ივანიშვილი.

ვარჯიში ღამემდე გაგრძელდა, როცა ნავარჯიშევს სეგრტმა ბიჭებს ძუნძულით სამი წრე დაარტყმევინა მინდორს, უკვე საკმაოდ ბნელოდა.

და ერთი სასიამოვნო ინფორმაციაც: რუსეთ — საქართველოს 21-წლამდელთა მატჩის პირდაპირი ტელერეპორტაჟი საზოგადოებრივ მაუწყებელზე იქნება.

სეგრტი და მისი რაზმი დღეს დილით გაემგზავრნენ მინსკში.

სამქულიანები და გახარებულნი დაბრუნებულიყვნენ!

ილია ნანოგაფშვილი

ნაკრები დღეს 19 ფეხბურთელით გაემგზავრა მინსკში, 4 მოთამაშე კი ზეგ ჩაფრინდება ბელარუსის დედაქალაქში. 19 კაცის სია ასეთია: რევაზ თევდორაძე, მიხეილ ალავიძე; გულვერდ თომაშვილი, გიორგი ფოფხაძე, ბაქარ მირცხულავა, გურამ კაშია, გიორგი ნავალოვსკი, ამირან სანაია; სანდრო კობახიძე, შოთა გრიგალაშვილი, გიორგი ხიდეშელი, თემურ შონია, დავით დევდარიანი, დავით თარგამაძე, ზაქარია ბეგლარიშვილი, მურთაზ დაუშვილი; ჯაბა ლიპარტია, რატი წინამძღვრიშვილი, გიორგი ივანიშვილი.

ნელინადისა და 2 თვის შემდეგ, 30 აგვისტოს „ამერის“ თავდამსხმელმა რატი წინამძღვრიშვილმა პირველივე ოფიციალურ შეხვედრაში გაიტანა, საქართველოს თასის მერვედფინალურ მატჩში ლანჩხუთის „გურიასთან“. რატის ახალგაზრდულ ნაკრებშიც უხმო პეტარ სეგრტმა ...

მაინც გავალთ!

— რატი, დიდხნიანი იძულებითი პაუზის შემდეგ პირველი ოფიციალური მატჩი ითამაშე და გაიტანე კიდეც...

— 90 წუთი ვიყავი მოედანზე და რაც მთავარია, ტრავმის შიში აღარ მაქვს. კარგია, რომ გატანა შევძელი. თან ნაკრებშიც გამომიძახეს.

— მთლიანად თამაშზე რას იტყვი?

— თავიდან კარგად ვთამაშობდით, დავწინაურდით კიდეც და დიდ უპირატესობას ვფლობდით, თუმც მერე ეს უპირატესობა გავფლანგეთ და, სამწუხაროდ, დავმარცხდით.

— „გურიასთან“ შინ 1:2 წაგების მერე როგორ ფიქრობ, მეოთხედფინალში გასვლის შანსი დაგრჩათ?

— დაკარგული არაფერია, საპასუხო მატჩისთვის კარგად უნდა მოვემზადოთ, „ამერი“ თასზე ყოველთვის უკეთ თამაშობს და მჯერა, ლანჩხუთურ ბარიერს დავძლევთ.

ნუკრი ლოლაძე

რუსეთის 21-წლამდელები: დანაკლისი დანაკლისზე

სტუკალოვს საუკეთესო ფორვარდი დაემატა

5 სექტემბერს საქართველოსთან ევროშესარჩევ მატჩში რუსეთს ორი წამყვანი ფეხბურთელი კიდევ გამოაკლდა. ჯერ შეგახსენებთ, რომ ბორის სტუკალოვის გუნდს კირილ კომბაროვი, სერგეი გრანატი და ოლეგ ტარანოვი არ ეყოლება დისკვალიფიკაციის გამო. გარდა ამისა, ტრავმა მიიღო მოსკოვის ცსკა-ს ნახევარმცველმა ალან ძაგოევმა, ვინც რუსულ პრემიერლიგის წინა ტურში „ლოკომოტივს“ გაუტანა. შესაძლოა, მაგრამ მცირე შანსია, რომ ძაგოევმა 9 სექტემბერს, შესარჩევის ბოლო ტურში ითამაშოს ესპანეთთან.

და ყველაზე დიდი დანაკლისი: ასევე ტრავმა მიიღო მოსკოვის „სპარტაკის“ არტიომ ძიუბამ, რომელიც რუსთა ახალი თაობის საუკეთესო ფორვარდად ითვლება.

ამ ორის ნაცვლად, სტუკალოვმა ახალ თავდამსხმელებს უხმო: „კრილიას“ ალექსანდრ სალუგინსა და „ამკარის“ ნიკოლაი ჟილიაევს.

რუსთა ნაკრებმა 1 სექტემბერს დაიწყო საქართველოსთან მატჩისთვის მზადება — ჯერჯერობით მოსკოვში არიან, ხვალ შუადღით კი მინსკში ჩავლენ.

ილია ნანოგაფშვილი

ასათიანი 32

კიევის „დინამოს“ საჩემპიონთალიგო განაცხადი შეიტანა უეფაში და სიაში ქართველი ახალწვეული მალხაზ ასათიანიცაა.

გეცოდინებათ, მოსკოვის „ლოკომოტივის“ 27 წლის მცველი რამდენიმე დღის წინ გადავიდა უკრაინულ გრანდში.

გაირკვა ასათიანის ნომერიც: ქართველი ფეხბურთელი ჩემპიონთა ლიგაში 32-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

კახა შალამბერიძე

23 ივლისიდან გაყიდვაშია საქართველოს ეროვნული ნაკრების 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ხუთი საშინაო მატჩის აბონემენტები. დამზადებულია სამი სახის აბონემენტი — 150-ლარიანი (დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-9 სექტორი), 50-ლარიანი (დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-11 სექტორი), და 25-ლარიანი (ჩრდილოეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-13 სექტორი).

25 და 50-ლარიანი აბონემენტების მფლობელებს საჩუქრად გადაეცემათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლოგოთი დამშვენებული შარფი, ხოლო 150-ლარიანი აბონემენტის მფლობელებს მნიშვნელოვანი ფასდაკლებით — 50 ლარად შეუძლიათ შეიძინონ საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისურა.

სამივე სახის აბონემენტების მფლობელები უფასოდ დაესწრებიან საქართველოს ეროვნული ნაკრების საშინაო ამხანაგურ მატჩებს. აბონემენტების შეძენა შეგიძლიათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში.

სფფ-ის პრესცენტრი

www.pfl.ge

დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება მერვედფინალი. პირველი მატჩი

მცხეთა. 2 სექტემბერი. 16 საათი. არმაზი. 50 მაყურებელი

ვიტ ჯორჯია 2:1 სამტრედია

1:0, 2:0 ბერიაშვილი (78, 89), 2:1 სამსეიშვილი (90)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, ბეჭვაია, ყველაშვილი, დ. ლომაია, ლ. ჯაფარიძე (გ. ჯანელიძე 79), რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, კვაღინიძე, გ. მელქაძე, ბერიაშვილი, ვ. კარაცხელია (ლუჭაშვილი 64)
სათადარიგო: მიქაბერიძე, ადამაძე, ხურცილავა, მაისაშვილი, როსტიაშვილი
მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

სამტრედია: შენგელია, გოგია, კვესიაშვილი, ლ. მახარაძე (გ. დარჯანია 83), ადეიშვილი, ბაკურაძე, გ. ოქრუაშვილი, ეცადეიშვილი (სუნიაევი 56), ჩომახიძე, ი. შენგელია (ბოხუა 74), სამსეიშვილი
სათადარიგო: კეკელიძე, გ. სტურუა, სალდაძე, რ. ნინუა
მწვრთნელი: მამუკა მესიაჩენკო

გაფრთხილება: ეცადეიშვილი (25)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, ა. გუნთაძე

დამკვირვებელი: ა. ორდინიძე; **დელეგატი:** ნ. კაკულია

გიორგი ბერიაშვილი

ფოტო: ბაჩანა ბერიძე

ბოლო წუთის ინტრიგა

ნუკრი ლოლაძე მცხეთიდან

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ მცხეთის „არმაზი“ დაუწუნა და საშინაო მატჩების „მიხეილ მესხზე“ გამართვა უბრძანა. ჰოდა, სათასო მერვედფინალის მატჩზეც ვაკის სტადიონს მივადექით, სადაც გვითხრეს, დღეს აქ თამაში არ არისო.

სანამ მცხეთაში ჩავედი, მატჩის პირველი 20 წუთი გავლილი იყო...

ვიტელთა სამი ფეხბურთელი ერონულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში არიან — ალეკო კვახაძე, ირაკლი კლიმიაშვილი და ჯაბა ლიპარტია.

მცხეთაში წვიმდა და საკმაოდ გრილოდა, გუნდებმაც კარგი ბრძოლა გამართეს.

უმაღლესლიგელები სულ შეტევისკენ იწევდნენ, „სამტრედია“ კი კონტრშეტევებს ამჯობინებდა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისელებს რამდენჯერმე შეეძლოთ გატანა, პირველ ტაიმში ეს ვერ მოახერხეს.

მეორე ნახევარიც „ვიტ ჯორჯიას“ შეტევებით დაიწყო.

ყველა სტანდარტული მდგომარეობა „სამტრედიას“ კართან სახიფათო იყო. 57-ე წუთზე გიორგი დათუნაიშვილის პასის შემდეგ ლაშა ჯაფარიძეს შეეძლო ანგარიშის გახსნა, თუმც კარს გადააცილა. მალევე დავით ლომაიას სასწაულებრივად აუღო მეკარე ირაკლი შენგელიამ და საერთოდაც საკმაოდ საიმედოდ ირჯებოდა სტუმართა გოლკიპერი. აი, 78-ე წუთზე კი შენგელიამ ვეღარაფერი გააწყო. მარცხენა ფრთიდან გიორგი კვაღინიძემ საჯარიმოში ჩააწოდა, იქ ყველას გიორგი ბერიაშვილმა დაასწრო და თავით გაიტანა — 1:0.

მასპინძლებს შეტევები არ გაუნელებიათ და ამან შედეგიც გამოიღო. ბერიაშვილმა საჯარიმოს გარედან ამოსცხო და დუბლი გაიფორმა. თითქოს მატჩიც ასე უნდა დასრულებულიყო, თუმცა ასე არ ფიქრობდა დემურ სამსეიშვილი — მის შორეულ დარტყმულს გრიგოლ ბედიაშვილმა ვერაფერი მოუხერხა.

ცუდი, მაგრამ კარგია?

ქართული ფეხბურთი ქოგამებით განებივრებული დიდი ხანია, აღარ არის. ეროვნული ჩემპიონატის მთავარ მატჩებზეც კი თითზე ჩამოსათვლელ ადამიანს თუ ნახავ ტრიბუნაზე.

ეს დიდი პრობლემაა და როცა ამ პრობლემის გადაწყვეტაზე ვლაპარაკობთ, მხოლოდ წამახალისებელი ლატარია არ უნდა მოგვივიდეს თავში.

მთავარი სხვა და ხანდახან ისეების შენიღბვა და გასაიდუმლოება ხდება, რომ მწარე ღიმილს შეგარჩენს სახეზე.

საქმე ასეა: ომიანობის გამო შეწყვეტილ და აგვისტოს ბოლო დღეებში განახლებულ საქართველოს თასის მატჩებს განსაკუთრებულად ცოტა ხალხი დაესწრო. ცხადია, მიზეზი უამრავია, მაგრამ არც ისაა უმნიშვნელო, რაც გუშინ „სარბიელს“ შეემთხვა.

სეზონის დაწყებამდე საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ გადაწყვიტა, რომ მცხეთის „არმაზი“ არ აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს და „ვიტ ჯორჯიაც“ თბილისში, „მიხეილ მესხზე“ უმასპინძლებს მეტოქეებს. ეს ინფორმაცია გამოვიყენეთ თასის სარბიელისეულ ანონსშიც, მაგრამ... მავანთ თამაში მაინც სწორედ პროფლიგის მიერ დაწუნებულ „არმაზზე“ გადაუტანიათ და ამის თაობაზე ინფორმაციის გავრცელება არავის მოსვლია აზრად, მით უმეტეს, ვიმეორებთ: გაზეთებში „ვიტ ჯორჯია“ — „სამტრედიას“ გასამართ ადგილად „მიხეილ მესხი“ დაიწერა.

დაახლოებით იგივე სიტუაცია იყო თბილისის „დინამოსთან“ დაკავშირებითაც. „დინამო“ — „თბილისის“ სამი დღის წინანდელი სათასო შეხვედრა „ეროვნულის“ ნაცვლად დიღმის ბაზაზე გაიმართა და ეს ამბავი წინა დღეს შემთხვევით გავიგეთ, მოგვიანებით კი „დინამოს“ პრესსამსახურის უფროს გიგა გვენცაძესთან დავაზუსტეთ.

სარბიელელები გულწრფელ ბოდიშს ვუხდით იმ მცირერიცხოვან ქომაგს, რომლებმაც ჩვენს ჟურნალისტთან ერთად სწორედ „სარბიელში“ ამოკითხულის შემდეგ მიაკითხეს გუშინ „მიხეილ მესხს“, მაგრამ აქვე გვინდა ვკითხოთ მათ, ვისაც ეს ეხება: რას და რატომ მალავთ?!

როგორ უშლიდა რუსული პოლიცია უკრაინელებს ქართული დროშის ფრიალს

13 აგვისტო: მანუჩარ კვირკველიამ და ირაკლი ცირეკიძემ საქართველოს ორი ოქროს მედალი მოუტანეს პეკინის ოლიმპიადაზე, მათ შორის, ცირეკიძემ რუსთა ჯილა ანდრეი პერშინი შემუსრა, იმავ დროს საქართველოსთანა პატარა ხორვატიამ ოლიმპიადაზე კალათბურთში სძლია რუსებს, საქართველოსთანა პატარა დანიამ ხელბურთში აჯობა რუსებს, ის დღე კი კიევის „დინამომ“ დაასრულა რუსული სპორტისთვის კოშმარულად, როცა „ლუჟნიკიზე“ მოსკოვის „სპარტაკი“ 4:1 გაკრა ბეჭებზე ჩემპიონთა ლიგის ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში.

ცნობილია, რომ უეფამ „ლუჟნიკის“ სტადიონზე წუთიერი დუმილის უფლება არ მისცა რუსებს, რაზეც ძალიან გაბრაზებულან ჩვენი „კეთილისმსურველი“ მეზობლები, თუმც ძალიან კარგად იცოდნენ, რატომაც არ მისცეს ამის უფლება — იმ დღეებში საქართველოს ეომებოდა.

მოვიდა კიეველთა და სპარტაკელთა საპასუხო მატჩის დღეც, უკრაინის დედაქალაქში ბლომად მთვრალი რუსი ფანი ჩავიდა, თან უმეტესობა გაჭკიოდა, ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ჩვენ გავალთო — ოცნებასაც ხომ საზღვარი აქვს...

კიევის „დინამომ“ შინაც 4:1 გაუმეორა „სახალხო გუნდს“, მაგრამ ჩვენ სხვა რამეს მივაქციეთ ყურადღება.

კიევის სტადიონის ტრიბუნებზე საქართველოს დროშებით მივიდნენ უკრაინელი გულშემატკივრები და „გრუზია, გრუზიას“ გაჰყვიროდნენ, მოსკოველი ქომაგები კი გამაღიზიანებლად აგინებდნენ საქართველოს და თან უკრაინელების გასაგონად სკანდირებდნენ, სევასტოპოლი რუსული ქალაქიაო.

ამ ინფორმაციას ერთ-ერთ უკრაინულ ვებგვერდზე წავაწყდით, იქ კიდევ ის წერია, რომ ადგილობრივი პოლიცია უკრაინელ ფანებს უბრძანებდა, საქართველოს დროშები დაემალათ.

უკრაინის საარჩევნო კომიტეტის წარმომადგენელი ალექსანდრ ჩერნენკო ამბობს: „პოლიციელები მოვიდნენ იმ სექციაში, სადაც საქართველოს დროშები ფრიალებდა და ფანებს მოსთხოვეს დროშების დამალვა, რადგან ეს სპორტია და არა პოლიტიკური აქციაო“.

გაზეთი „უკრაინსკაია პრავდა“ წერს, რომ პოლიციელებმა სტადიონზე მისვლისას საქართველოს დროშის მოფრიალე პირი უკან გაბრძანეს და როდესაც ის არ დაემორჩილა, გასკვანჩესო.

გაზეთის მტკიცებით, 13 აგვისტოს, მოსკოვში პირველ მატჩზე მიმავალი უკრაინელი ქომაგები, რომლებსაც საქართველოს დროშები ეჭირათ ხელში, რუსეთის მებაჟეებმა არ შეუშვეს თავიანთ ტერიტორიაზეო.

ცხადია, იმ „უკრაინელი“ პოლიციელების საქციელი არ გვიკვირს — იმიტომ, რომ, სავარაუდოდ, უკრაინელები კი არა, რუსები იქნებოდნენ.

უკრაინაში თუ რუსებს კიდევ გამოუჩნდნენ დამცველები, გაცილებით რთული სიტუაცია ყოფილა ვარშავაში, „ლეხი“ — „მოსკვას“ საუეფასთასო მატჩისას, როცა პოლონელი ფანები მთელი თამაშის განმავლობაში შეურაცხყოფდნენ სტუმრებს.

და როცა მატჩისშემდგომ პრეს-კონფერენციაზე „მოსკვას“ მწვრთნელ ოლეგ ბლოხინს უკითხავს, რატომ იქცეოდნენ პოლონელი ფანები ასე უხეშადო, პასუხი ყოფილა — თქვენი ქვეყნის საქართველოსადმი აგრესიის გამოო.

„ფაქტია, ჩვენ ძალიან ბევრ ქვეყანაში არ ვუყვარვართ, განსაკუთრებით კი ეს იგრძნობა პოლონელებისგან“ — წერს ერთ-ერთი რუსი მიმომხილველი, მაგრამ მას ისიც ეცოდინება, რომ აგრესორი ქვეყანა მხოლოდ აგრესორებს უყვართ.

კეთილი. ხომ ასეა, მაშინ ვნახოთ, როგორ მოიქცევიან მინსკის „ტრაქტორის“ სტადიონზე რუსი ფანები რუსეთ — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების მატჩისას — თამაში მათ მომძე ქვეყანაში ტარდება და ალბათ მხარდაჭერაც რუსების მხარეს იქნება...

ილია ნანოგაშვილი

ალიყურა ჩელსის: სიტიმ რობინიო იყიდა

„მანჩესტერ სიტიმ“ „ჩელსის“ ფინტი გაუკეთა: ისტლენდელებმა სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს მადრიდის „რეალისგან“ ბრაზილიელი რობინიო გადაიბირეს. დიახ, სწორედ ის რობინიო, რომლის ხელში ჩასაგდებად მთელი ზაფხულის განმავლობაში ასე იღწვოდა „ლურჯების“ რუსი პატრონი რომან აბრამოვიჩი და მისი ამალა.

თანხა, რომელიც პატრონგამოცვლილმა „სიტიმ“ ესპანეთის ჩემპიონს გადაუხადა, დაზუსტებით არავინ იცის, თუმცა არაოფიციალურად ცნობილია, რომ საქმე ინგლისის რეკორდს, 32,5 მილიონ გირვანქას ეხება.

რობინიოს აგენტმა ვაგნერ რიბერუმ განაცხადა: „შემიძლია დავადასტურო, რომ ჩემმა კლიენტმა „მანჩესტერ სიტისთან“ ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი“.

ახალი შენაძენით გამოწვეულ სიხარულს ვერ მალავდა მანჩესტერელთა მწვრთნელი მარკ ჰიუზი:

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ განსაკუთრებული ნიჭის მქონე ფეხბურთელთან, რობინიოსთან მეძლევა მუშაობის საშუალება. ბევრჯერ მითქვამს, იმისათვის, რომ პრემიერლიგის საუკეთესო კლუბებს კონკურენცია გავუწიოთ, საჭიროა, სატრანსფერო ბაზარზეც კონკურენტუნარიანები გავხდეთ. ამ მხრივ, როგორც ჩანს, საქმე კარგად არის, რადგან თქმა არ უნდა, რობინიო მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია. ახლა ერთი სული მაქვს, როდის გავაცნობ მას დანარჩენ ფეხბურთელებს და „სიტის“ ფანებს. ამ შენაძენით „მანჩესტერ სიტიმ“ ნამდვილად ამბიციური ნაბიჯი გადადგა“.

როგორც ინგლისური წყაროები იტყობინებიან, ამ ტრანსფერმა „ჩელსის“ პირი დააღებინა. როგორც ირკვევა, ლონდონელები რამდენიმე საათით ადრე დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რობინიოს მათ ვეღარავინ შეეცილებოდა. მაინც, რატომ არჩიეს მადრიდელებმა „ჩელსისა“ და „სიტის“ შორის ეს უკანასკნელი? როგორც ამბობენ, მიზეზი მარტივია: „ჩელსიმ“ „რეალი“ საჯაროდ გააკრიტიკა, „სიტი“ კი კონფიდენციალურობის ფარგლებს არ გასცდენია.

ძალიან უცნაური გახლდათ ის ფაქტიც, რომ 24 წლის თავდამსხმელმა, რომელსაც ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში 42 თამაში აქვს ჩატარებული, წინა დილით პრესკონფერენცია მოიწვია და განაცხადა, რომ „ჩელსიში“ გადასვლაზე ოცნებობს, „რეალის“ შეფები კი ოცნების ასრულებაში ხელს უშლიან. შემდეგ კი, მოგეხსენებათ, ასეთი რამ მოხდა: „სიტი“ „აბუ დაბის გაერთიანებულმა ჯგუფმა“ შეიძინა, ანუ გუნდს დიდძალი ფული გაუჩნდა, სატრანსფერო ფანჯრის დაკეტვამდე კი მთელი დღე რჩებოდა. მეტიც, „სიტიმ“ თანაქალაქელ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ცხვირწინ კინაღამ დიმიტარ ბერბატოვი ააცალა — ცხადია, ამ შემთხვევაში, რობინიოს ყიდვა გამორიცხებოდა — მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი უკვე ცნობილი ფორმით დალაგდა.

„რობინიოში სერიოზული თანხა მივიღეთ. საერთოდ, მადრიდის „რეალი“ ფეხბურთელებს ფულის გამო არასდროს ჰყიდის, მაგრამ ამ შემთხვევაში ადამიანურმა და სპორტულმა ფაქტორებმა თავისი გაიტანა. ეს გადაწყვეტილება „რეალის“ სრულ სამწვრთნელო შტაბთან შეთანხმებით მივიღეთ. ჩვენი ამოსავალი წერტილი ის გახლდათ, რომ ყველაფერი საკუთრივ თავდამსხმელისა და კლუბისთვის მისაღებად უნდა მოგვეგვარებინა. მწვრთნელ ბერნდ შუსტერს ბოლო წამამდე იმედი ჰქონდა, რომ რობინიოს თავიდან აათამაშებდა. სამწუხაროდ, ყოველთვის, როდესაც მას ტელეფონით ვესაუბრებოდი, ის ტიროდა და ესპანეთიდან გაშვებას მთხოვდა. რა გაეწყობა, ის კარგი ბიჭია, მაგრამ ძალიან ცუდი მრჩეველები ჰყავს“.

პაპუნა კედია

არაბი ათასერთი ღამიდან

„მანჩესტერ სიტის“ ახალი, მულტიმილიარდერი მეპატრონე ის კაცია, რომელიც ინგლისურ და ევროპულ ფეხბურთში გზის გაკვალვას ბულდოზერივით აპირებს. მისი სახელია დოქტორი სულეიმან ალ ფაჰიმი. ის აბუ დაბის სამეფო ოჯახთან დაახლოებული პიროვნებაა და ამიერიდან, 128 წლის მანჩესტერული კლუბის მესაკუთრეობითაც გახდება ცნობილი.

ფული დოქტორ ალ ფაჰიმს მართლაც უთვალავი აქვს. თავად განსაჯეთ, „სიტის“ ყიდვა ერთ ღამეში 220 მილიონი გირვანქის გასროლად დაუჯდა, რასაც დაპირება მოაყოლა, ამ თანხას ზედ 100 მილიონს დავაყოლებ და პრემიერლიგის უმაღლეს ადგილებს ამ სეზონშივე შევუტევო. გეგმა ასეთია: მაისში ოთხეულში შესვლა, მომდევნო ჩემპიონატში ტიტულის მოგება, სამ წელიწადში კი ჩემპიონთა ლიგა.

და რა გააკეთა აბუდაბელმა მილიარდერმა პირველსავე მანჩესტერულ სამუშაო დღეს, ხომ იცით? ერთი, 34-მილიონიანი ანკესი ბერბატოვისკენ ისროლა, მეორე, 30-მილიონიანი — დავიდ ვილიასკენ, მესამე, ასეთივე ზომისა — რობინიოსკენ და მეოთხე, 10-მილიონიანი — მარიო გომესისკენ, რომელიც, მოგეხსენებათ, „შტუტგარტში“ თამაშობს. როგორც ცნობილია, ამ ანკესებიდან ერთს რობინიო ამოყვა.

მოკლედ რომ ვთქვათ, ალ ფაჰიმი ის კაცია, რომელმაც იცის, რა უნდა, იცის, მიზანს როგორ მიაღწიოს და სანამ აბუ დაბის სამეფო ოჯახს ასი მილიარდი აქვს, მისი შემჩერებელი არავინ უნდა იყოს.

რამდენადაც ცნობილია, „სიტის“ ყიდვამდე მან ინგლისში რამდენჯერმე მოსინჯა ნიადაგი. ჯერ „არსენალის“ შეძენა უნდოდა, შემდეგ — „ლივერპულის“ და ბოლოს — „ნიუკასლის“.

„ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ბულდოზერივით ვიყავი და საბოლოოდ ჩამრვყალიბდი კიდეც ბულდოზერად — თქვა დოქტორმა საკუთარ თავზე — ბულდოზერი, შესაძლოა, არავის უყვარს, მაგრამ ის მოძრაობას იწყებს და თუგინდ გზად მანქანები ეღობებოდნენ, ის არ ჩერდება, ამ მანქანებს ლეწავს და გზას ისე იკვლევს. დიახ, ასეთი გახლავართ, ვერ ჭერდები. თუ თავში აზრი მომივიდა, მის განსახორციალებლად ყველა ღონე უნდა ვიხმარო“.

და მართლაც, ის, რაც მან „სიტის“ შეძენასთან დაკავშირებით ერთ დღეში გააკეთა, ბულდოზერობა იყო, სხვა არაფერი. გახსოვთ, ზემოთ 220 მილიონი რომ ვახსენეთ? აქედან 100 მილიონი კლუბის ძველი ვალი იყო, 120 მილიონი კიდევ ზემოდან დამატებული თანხა გახლდათ.

31 წლის დოქტორ სულეიმან ალ ფაჰიმის კონსორციუმს „განვითარებისა და ინვესტიციების აბუ დაბის გაერთიანებული ჯგუფი“ ჰქვია და კაპიტალის თვალსაზრისით რომან აბრამოვიჩს ათჯერ აღემატება. საკუთრივ ალ ფაჰიმი აბუ დაბიში „ჰიდრა პროპერტის“ ხელმძღვანელობს.

და რა იდეები აქვს ბულდოზერს „სიტისთან“ დაკავშირებით? ო, ეს ისეთი იდეებია, რომელთა გამგონე მანჩესტერელმა ფანობამ პირი დაღო:

„ჩვენ შევიმუშავებთ მარკეტინგის ისეთ გეგმას, რომელიც კლუბზე კარგად აისახება. ჩვენ ვიმუშავებთ სატელევიზიო მარკეტინგისა და ფეხბურთელთა შეძენის მიმართულებით, გავაუმჯობესებთ ინფრასტრუქტურას“.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურმა საკლუბო ფეხბურთმა ბევრი ცრუ ინვესტორი გამოიარა, აბუდაბელთა ჯგუფზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ის საქმის გამკეთებელია. ეს თუნდაც შემდეგი ციტატიდან ჩანს კარგად:

„ჩვენ პირდაპირ კლუბს კი არა, პრემიერლიგას მივმართეთ. იყო ლაპარაკი „არსენალზე“, „ლივერპულზე“ და „ნიუკასლზე“. საბოლოოდ არჩევანი „მანჩესტერ სიტიზე“ შეჩერდა და ამით მოხარულები გახლავართ. „სიტი“ ხომ ინგლისის ერთ-ერთი ყველაზე ძველი კლუბია. ახლა ჩემს ბიზნეს-კალენდარში უნდა ჩავიხედო და ინგლისში რაც შეიძლება სწრაფად მოვახერხო ჩასვლა, რათა პრემიერლიგის ხალხს შევხვდე“.

შემდეგ, მილიარდერმა უახლოეს გეგმებზე ილაპარაკა:

„უახლოესი სამი-ოთხი თვის განმავლობაში კლუბის დირექტორატში რამდენიმე ახალი პიროვნება უნდა შევიყვანოთ, რომლებიც საქმის წარმოებაში ფრიად დაგვეხმარებიან. წინა მეპატრონე, თაქსინ შინავატრა, რასაკვირველია, დირექტორატის წევრად დარჩება და არც წილსაც დაიტოვებს. გვინდა, ინგლისური ბაზრის სპეციალისტები მივიზიდოთ. მოკლედ, ხალხის არჩევაში ფრთხილნი ვიქნებით, რადგან ყველა, ვისაც ავიყვანთ, ზედმიწევნით გამოსადეგი უნდა იყოს“.

მანჩესტერელთა მწვრთნელი მარკ ჰიუზი, რასაკვირველია, სიხარულისგან მეცხრე ცაზე დაფრინავდა:

„სიტიში“ იმიტომ გადმოვედი, რომ პრემიერლიგის საუკეთესო ადგილებისთვის ბრძოლაში ჩავრთულიყავი და, როგორც ჩანს, სწორედ ამ მიმართულებით მივდივართ. ჩვენ ყურადღება მოგვაქციეს. გარშემო სასიამოვნო ფუსფუსია“.

პაპუნა კედია

„მანჩესტერ სიტის“ ახალი მეპატრონე სულეიმან ალ ფაჰიმი

ინგლისური ტრანსფერები 2008-2009

არსენალი

მოვიდნენ

სამირ ნასრი (მარსელი),
ამაური ბიშოფი (ვერდერი),
მიკაელ სილვესტრი (მანჩესტერი)

წავიდნენ

ჯასტინ ჰოიტი (მიდლსბრო),
ჟილბერტო სილვა (პანათინაიკოსი),
მატიე ფლამინი (მილანი),
ალექსანდრ გლები (ბარსელონა),
იენს ლემანი (შტუტგარტი),
ფილიპ სენდეროსი (მილანი),
არმან ტრაორე (პორტსმუთი),
ნასერ ბარაზიტე (დერბი),
კერეა ჟილბერტი (ვესტერი),
ჰოვარდ ნორდრეიტი (სალამანკა)

ასტონ ვილა

მოვიდნენ

ჯეიმს მილნერი (ნიუკასლი),
კარლოს კუელიარი (რეინჯერსი),
სტივ სიდუელი (ჩელსი),
ბრედ ფრიდელი (ბლექბერნი),
კერტის დეივისი (ვესტ ბრომვიჩი),
ნიკი შორი (რედინგი),
ლუკ იანგი (მიდლბსრო),
ბრედ გუზანი (ჩივასი)

წავიდნენ

ოლოფ მელბერგი (იუვენტუსი),
პატრიკ ბერგერი (უგუნდოდ),
თომას სორენსენი (უგუნდოდ)

ბლექბერნი

მოვიდნენ

პოლ რობინსონი (ტოტენჰემი),
ვინჩენცო გრელა (ტორინო),
კიტ ენდრიუსი (მილტონი),
მარკ ბანი (ნორთჰემპტონი),
დენის სიმპსონი (მანჩესტერი),
კარლოს ვილიანუევა (აუდაქსი)

წავიდნენ

ბრედ ფრიდელი (ასტონ ვილა),
დეივიდ ბენტლი (ტოტენჰემი),
ოზაჰონ ებოინე (ლეუვენი),
პოლ გალაჰერი (პლიმუთი),
მასეო რიგტერსი (ბანსლი),
ბრუნო ბერნერი (უგუნდოდ),
რაფაელე დე ვიტა (უგუნდოდ),
პეტერ ენკელმანი (უგუნდოდ),
სტეფან ანშო (უგუნდოდ),
ზაკ ჯონსი (უგუნდოდ)

ბოლტონი

მოვიდნენ

მუსტაფა რიგა (ლევანტე),
დენი შიტუ (უოტფორდი),
ები სმოლიარეკი (რასინგი)

წავიდნენ

აბდულაიე მეიტე (ვესტ ბრომვიჩი),
ელ ჰაჯი დიუფი (სანდერლენდი),
ბლერინ ჯემაილი (ტორინო),
ივან კამპო (უგუნდოდ),
მარკ ელისი (უგუნდოდ),
სტელიოს იანაკოპულოსი (უგუნდოდ),
იოჰან სმიტი (უგუნდოდ),
ლესლი ტომპსონი (უგუნდოდ)

ჩელსი

მოვიდნენ

ჟოზე ბოსინგვა (პორტუ),
ფაბიო პაიმი (სპორტინგი),
დეკუ (ბარსელონა)

წავიდნენ

შონ რაიტ-ფილიპსი (სიტი),
სტივ სიდუელი (ასტონ ვილა),
ჰალიდ ბულარუზი (შტუტგარტი),
ანდრეი შევჩენკო (მილანი),
კოდ მაკელელე (პსჟ),
ტალ ბენ-ჰაიმი (სიტი),
ედუარდო ალსიდესი (დნიპრო),
კლაუდიო პისარო (ვერდერი),
ხლობოდან რაიკოვიჩი (ტვენტე),
ჯეკ კორკი (საუთჰემპტონი),
ბენ საჰარი (პორტსმუთი),
ჯიმი სმიტი (უენსდი),
ჰარი უორლი (ლესტერი),
ერნან კრესპო (ინტერი)

ევერტონი

მოვიდნენ

ლუი საა (მანჩესტერი),
სეგუნდო კასტილიო (ცრვენა ზვეზდა),
ლარს იაკობსენი (ნიურნბერგი),
კარლო ნეში (უიგანი)

წავიდნენ

ენდრიუ ჯონსონი (ფულემი),
შტეფან ვესელსი (ბაიერნი)

ფულემი

მოვიდნენ

ენდრიუ ჯონსონი (ევერტონი),
ფრედრიკ სტოორი (რუსენბორგი),
ბობი ზამორა (ვესტ ჰემი),
დიქსონ ეტუჰუ (სანდერლენდი),
ჯულიენ გრეი (ქოვენთრი),
ტონი კალიო (იანგ ბოისი),
ჯონ პანტსილი (ვესტ ჰემი),
პასკალ ცუბერბიულერი (ქსამაქსი),
მორის ფოლცი (იფსვიჩი)

წავიდნენ

რიკარდუ ბატიშტა (სპორტინგი),
სტივენ დეივისი (რეინჯერსი),
დეივიდ ჰილი (სანდერლენდი),
ჰამურ ბოაზა (ჩარლტონი),
ლი კუკი (ქუინზ პარკი),
კოლინზ ჯონი (ბრედა),
კეისი კელერი (სონდერსი),
დეიან სტეფანოვიჩი (ნორვიჩი),
ტიჯეი მონკური (ბრედფორდი),
ელიოტ ომოზუსი (ნორვიჩი),
მორის ფოლცი (იფსვიჩი),
გაბრიელ ზაკუანი (პიტებრო),
ალექსეი სმერტინი (უგუნდოდ)

ჰალი

მოვიდნენ

პეტერ ჰალმოში (პლიმუთი),
ჯორჯ ბოატენგი (მიდლსბრო),
კრეიგ ფაგანი (დერბი),
მარკ ოქსლი (როტერჰემი),
ენტონი განდერი (ტოტენჰემი),
დანიელ კუზენი (რეინჯერსი),
ჯოვანი (თავისუფალი აგენტი),
მარლონ კინგი (უიგანი),
პოლ მაკშეინი (სანდერლენდი),
ბერნარ მენდი (პსჟ),
ქამილ ზაიათე (იანგ ბოისი),
ტონი ვერნერი (თავისუფალი აგენტი),
ლაიამ კუპერი (თავისუფალი აგენტი)

წავიდა

ჯონ პარკინი (პრესტონი)

ლივერპული

მოვიდნენ

რობი კინი (ტოტენჰემი),
ალბერტ რიერა (ესპანიოლი),
ანდრეა დოსენა (უდინეზე),
დიეგო კავალიერი (პალმეირასი),
ფილიპ დეგენი (დორტმუნდი),
ვიტორ ფლორა (ბოტაფოგო),
პეტერ გულაში (მტკ),
ემანუელ მენდი (მურსია),
დავიდ ნგოგი (პსჟ),
ზოლტ პოლოსკეი (მტკ),
ნიკოლა სარიჩი (ჰერფიოლგე),
ვინსენ ვეილი (ალკმაარი)

წავიდნენ

პიტერ კრაუჩი (პორტსმუთი),
სკოტ კარსონი (ვესტ ბრომვიჩი),
სტივ ფინანი (ესპანიოლი),
იონ არნე რიისე (რომა),
დანი გუტრიე (ნიუკასლი),
ენტონი ლე ტალეკი (ლე მანი),
სებასტიან ლეტო (ოლიმპიაკოსი),
ანდრეი ვორონინი (ჰერტა),
პოლ ანდერსონი (ნოტინგემი),
გუდვინ ანტვი (ტრანმერი),
ჯეკ ჰობსი (ლესტერი),
დეივიდ მარტინი (ლესტერი),
ჰარი კიუელი (უგუნდოდ)

მანჩესტერ სიტი

მოვიდნენ

რობინიო (რეალი),
ჟო (ცსკა),
შონ რაიტ-ფილიპსი (ჩელსი),
ტალ ბენ-ჰაიმი (ჩელსი),
ვენსან კომპანი (ჰამბურგი),
პაბლო საბალეტა (ესპანიოლი),
გლაუბერ ბერტი (ნიურნბერგი)

წავიდნენ

ვედრან ჩორლუკა (ტოტენჰემი),
ანდრეას ისაკსონი (პსვ),
გიორგოს სამარასი (სელტიკი),
ბერნარდო კორადი (რეჯინა),
გერი ბრინი (ჰერეფორდი),
ეშლი გრიმსი (მილუოლი),
სუნ ჯიჰაი (შეფილდი),
ჯეივენ ვიდალი (გრიმსბი),
ჯოვანი (უგუნდოდ),
მაიკლ დეილი (უგუნდოდ),
პოლ დიკოვი (უგუნდოდ),
ანდრეა ჯომბეტი (უგუნდოდ),
ფილიპო მანჩინი (ინტერი),
კრისტიან მურიტსენი (უგუნდოდ),
ემილ მპენზა (უგუნდოდ)

მანჩესტერი

მოვიდა

დიმიტარ ბერბატოვი (ტოტენჰემი)

წავიდნენ

ლუი საა (ევერტონი),
მიკაელ სილვესტრი (არსენალი),
ფრეიზერ კემპბელი (ტოტენჰემი),
კრეიგ მაკარტნი (პლიმუთი),
დონგი (ჰაიჩანგი),
კრის იგლზი (ბარნლი),
ლი მარტინი (ნოტინგემი),
ჯირონ ლი (ოლდემი),
დენი სიმპსონი (ბლექბერნი),
მიკაელ ბარნსი (უგუნდოდ),
შონ ევანსი (უგუნდოდ),
რიჩი ჯონსი (უგუნდოდ),
მაიკლ ლი (უგუნდოდ)

მიდლსბრო

მოვიდნენ

დიდიე დიგარი (პსჟ),
მარვინ ემნესი (სპარტა),
ჯასტინ ჰოიტი (არსენალი)

წავიდნენ

ჯორჯ ბოატენგი (ჰალი),
ფაბიო როშემბაკი (სპორტინგი),
ლუკ იანგი (ასტონ ვილა),
ლი კატერმოლი (უიგანი)

ნიუკასლი

მოვიდნენ

ხისკო (დეპორტივო),
ფაბრისიო კოლოჩინი (დეპორტივო),
ხონას გუტიერესი (მალიორკა),
ნაჩო (ვალენსია),
სებასტიან ბასონგი (მეცი),
დენი გუტრიე (ლივერპული)

წავიდნენ

ჯეიმს მილერი (ასტონ ვილა),
აბდულაიე დიანე-ფაიე (სტოკი),
ემრე ბელოზოღლუ (ფენერბაჰჩე),
პიტერ რემიჯი (ქუინზ პარკი),
სტივენ კარი (უგუნდოდ),
მარკ კუკი (უგუნდოდ),
ჯეიმს ტროისი (უგუნდოდ)

პორტსმუთი

მოვიდნენ

პიტერ კრაუჩი (ლივერპული),
იუნეს ქაბული (ტოტენჰემი),
ნადირ ბელჰადი (ლანსი),
ჟერომ ტომასი (ჩარლტონი),
არმან ტრაორე (არსენალი),
ომარ კორომა (ჰოუესი),
ბენ საჰარი (ჩელსი)

წავიდნენ

პედრუ მენდეში (რეინჯერსი),
სულეი ალი მუნტარი (ინტერი),
დანიელ სუბოტიჩი (ვარეგემი),
ომარ კორომა (ნორვიჩი)

სტოკი

მოვიდნენ

დეივ კიტსონი (რედინგი),
შეი ოლოფინიანა (ვულვზი),
აბდულაიე დიანე-ფაიე (ნიუკასლი),
იბრაჰიმა სონკო (რედინგი),
მაიკლ ტონგი (შეფილდი),
ტომ სორსი (კრისტალ პალასი),
ენდრიუ დეივისი (საუთჰემპტონი),
დენი ჰიგინბოთემი (სანდერლენდი),
ამდი ფაიე (ჩარლტონი),
ტომას სორენსენი (უგუნდოდ)

წავიდნენ

ენტონი პულისი (საუთჰემპტონი),
ჯონ პარკინი (პრესტონი)

ვესტ ბრომვიჩი

მოვიდნენ

ბორხა ვალერო (მალიორკა),
სკოტ კარსონი (ლივერპული),
ჯანი ზუივერლოონი (ჰერენვენი),
აბდულაიე მეიტე (ბოლტონი),
მარეკ ჩეხი (პორტუ),
იონას ოლსონი (ბრედა),
გრემ დორანსი (ლივინგსტონი),
რაიან დონკი (ალკმაარი),
მიხალ დანეკი (პლზენი)

წავიდნენ

კერტის დეივისი (ასტონ ვილა),
მარტინ ალბრეხტსენი (დერბი),
კევინ ფილიპსი (ბირმინგემი),
ლი ბეიკერი (კიდერმინსტერი),
ლუკ დენიელსი (შრიუსბერი),
ჯარეტ ჰოჯკისი (აბერდინი),
სტივენ მორისონი (სუონსი)

ლუის ფელიპე სკოლარი და დეკუ

სანდერლენდი

მოვიდნენ

ელ ჰაჯი დიუფი (ბოლტონი),
სტიდ მალბრანკი (ტოტენჰემი),
პასკალ შიმბონდა (ტოტენჰემი),
ჯიბრილ სისე (მარსელი),
ენტონ ფერდინანდი (ვესტ ჰემი),
დეივიდ ჰილი (ფულემი),
ჯორჯ მაკარტნი (ვესტ ჰემი),
ტეემუ ტაინიო (ტოტენჰემი),
ნიკ კოლგენი (უგუნდოდ),
დეივიდ მეილერი (კორკი)

წავიდნენ

დენი ჰიგინბოთემი (სტოკი),
დიკსონ ეტუჰუ (ფულემი),
პოლ მაკშეინი (ჰალი),
რასელ ანდერსონი (ბარნლი),
ტრევორ კარსონი (ჩესტერფილდი),
გრეგ ჰელფორდი (შეფილდი),
ენდრიუ კოული (უგუნდოდ),
იან ჰარტი (უგუნდოდ),
სტანისლავ ვარგა (უგუნდოდ),
სტივენ რაიტი (უგუნდოდ)

ტოტენჰემი

მოვიდნენ

რომან პავლიუჩენკო (სპარტაკი),
ვედრან ჩორლუკა (სიტი),
ჯონ ბოსტოკი (კრისტალ პალასი),
დეივიდ ბენტლი (ბლექბერნი),
ეურელიუ გომეში (პსვ),
ფრეიზერ კემპბელი (მანჩესტერი),
სესარ სანჩესი (სარაგოსა),
რაიან მესონი (თავისუფალი აგენტი),
პოლ მპოკუ (სტანდარდი)

წავიდნენ

დიმიტარ ბერბატოვი (მანჩესტერი),
რობი კინი (ლივერპული),
პოლ რობინსონი (ბლექბერნი),
სტიდ მალბრანკი (სანდერლენდი),
ენტონი გარნდერი (ჰალი),
პასკალ შიმბონდა (სანდერლენდი),
იუნეს ქაბული (პორტსმუთი),
ტეემუ ტაინიო (სანდერლენდი),
ლი იანგ-პიო (დორტმუნდი),
ტროი არჩიბალდ-ჰენვილი (ნორვიჩი),
საიმონ დოუკინსი (ლეიტონი),
ტომი ფორკასტი (საუთჰემპტონი),
ჯეიკ ლაივერმორი (ქრიუ),
ჯო მარტინი (ბლექპული),
ლი მილსი (ჯილინგემი),
ტომას პეხარტი (საუთჰემპტონი)

ვესტ ჰემი

მოვიდნენ

ვალონ ბეჰრამი (ლაციო),
იან ლაშტუვკა (შახტარი),
გეორგ გრესერი (გაკი)

წავიდნენ

ენტონ ფერდინანდი (სანდერლენდი),
ჯორჯ მაკარტნი (სანდერლენდი),
ბობი ზამორა (ფულემი),
ჯონ პანტსილი (ფულემი),
რიჩარდ რაიტი (იფსვიჩი),
ფრედი ლიუნგბერგი (უგუნდოდ)

უიგანი

მოვიდნენ

ოლივიე კაპო (ბირმინგემი),
ლი კატერმოლი (მიდლსბრო),
დანიელ დე რიდერი (უგუნდოდ),
ამრ ზაქი (ზამალეკი),
რეინორ ფიგეროა (ოლიმპია)

წავიდნენ

ანდრეას გრენკვისტი (გრონინგემი),
ჯულიუს აგაჰოვა (ქაისერი),
რაშიდ ბუაზანი (ბრედა),
დეივ კოტერილი (შეფილდი),
მარლონ კინგი (ჰალი),
კარლო ნეში (ევერტონი)

კრუიფმა გვარდიოლა გაშიფრა. არ გჭირდები? არ მჭირდები!



„ბარსელონას“ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში იოჰან კრუიფი ხოსეპ გვარდიოლას პირველ ნაბიჯებს აფასებს, რონალდინიოს შეცდომებზე საუბრობს და ლეო მესის ურჩევს, იგივე არ გაიმეოროს...

ხოსეპ გვარდიოლა

— „ბარსელონა“ როგორია?

— სერიოზული. გუნდი, ეტყობა, ფესვებს უბრუნდება. თამაშის მაღალი ხარისხი ადრეც იყო, მაგრამ ბოლო წლებში თავდადება აღარ ჩანდა. მაგალითად, ისეთი, როგორიც „ვისლასთან“ საშინაო მატჩში (4:0) აჩვენეს, საერთო საქმისთვის თავს რომ არავინ ზოგავს.

რა თქმა უნდა, ჩავარდნები არსებობს და ყველაფერი კარგად რომ გამოვიდეს, საამისოდ დროა საჭირო. არის ხალხი, რომელსაც სურს საქმის გაკეთება და საამისოდ მზად არის. თუ ერთს არ გამოსდის, სხვა ვინმე გამოჩნდება.

— რამდენიმე თვის წინ, რაიკარდის მწვრთნელობისას, სანამ გუნდში ვითარება გაუარესდებოდა, თქვენ ცვლილებებზე საუბრობდით...

— დიახ, ვამბობდი, რადგან გვერდიდან უკეთ ჩანს წვრილმანები, რომლის გამოსწორებაც აუცილებელია. უმეტესობა ამას ვერ ამჩნევდა. მე ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას ვიჩენდი წვრილმანებისდამი.

ვხვდებოდი, რომ რაღაც უნდა შეცვლილიყო. კონკრეტული დამნაშავეები ასეთ ვითარებაში არ არსებობენ, მაგრამ ხალხი მაინც ცდილობს, რომ გაფუჭებული საქმე ვინმეს დაბრალოს და დამნაშავეს თითი დაადოს.

— კი, მაგრამ უდიდესი პასუხისმგებლობა რაიკარდს ეკისრებოდა...

— რა თქმა უნდა, რაიკარდს, ოღონდ არა მხოლოდ მას. პასუხისმგებელი მწვრთნელის გარდა კიდევ ბევრია, სულ მცირე, ათი კაცი მაინც, მაგრამ როცა რაღაცაა შესაცვლელი, საამისოდ მარტივ გზას ირჩევენ — მწვრთნელს ცვლიან, რადგან ის ერთია.

— რონალდინიოზე რას იტყვით...

— ყველამ ვიცით, რომ რონალდინიო დიდებული ფეხბურთელია, ამას არავინ უარყოფს, მაგრამ უმრავლესობა მხოლოდ კონკრეტულ მომენტებს ამჩნევს, მე კი ვცდილობ, მომხდარი მთლიანობაში დავინახო.

რონალდინიოს ამბავი ძალიან ჰგავს კრიშტიანუ რონალდუს ისტორიას. თუ გაანალიზებ, დაფიქრდები იმაზე, თუ საიდან მოვიდა, როგორ სწავლობდა თამაშს და რას უნდა ელოდე მისგან — ეს ყველაფერი გავლენას ახდენს. მე ჩრდილოური ქვეყნიდან ვარ და ჩვენ ცივი გონებით ვმსჯელობთ. ისინი კი სამხრეთელები არიან და თავს მალე კარგავენ.

— მაგრამ ყოველთვის ამბობდით, რომ რონალდინიო წმინდანი არაა...

— მის ნიჭიერბაში არასოდეს დავეჭვებულვარ, თუმც ვეჭვობდი, რომ უმაღლეს დონეზე დიდხანს ვერ გაჩერდებოდა. ეს კი სულ სხვადასხვა რამაა.

რაზეა დამოკიდებული იმ დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც უმაღლეს დონეზე თამაშს შეძლებს? ცხადია, რომ ეს უკვე ნიჭზე არაა დამოკიდებული, არამედ სხვადასხვა ვითარებაში საკუთარი თავის კონტროლის უნარზე.

წარმოიდგინეთ თავი მის ადგილზე. ამდენ ქება-დიდებას, რაც რონალდინიოს ხვდა, ვერავინ გაუძლებდა, რადგან უკვე ნამეტანი იყო. ასეთ ვითარებაში ვერცერთი ჩვენგანი თავს ნორმალურად ვერ იგრძნობს.

რონალდინიოს არაფერში ვადანაშაულებ, მაგრამ ვხედავდი, რომ ყველა მონაცემი გააჩნდა საიმისოდ, რათა მოსვლოდა ის, რაც საბოლოოდ დაემართა. ამიტომ, როცა მე რონალდინიოზე რამეს ვამბობ, ამ ფეხბურთელის გარშემო შექმნილ ვითარებაზე ვსაუბრობ და არა მის წინააღმდეგ.

— იქნებ, ეს ბრაზილიელთა მენტალიტეტის საკითხია?

— კიც და არაც. რონალდინიოს ხშირად რომარიოს ადარებდნენ. მსგავსი რამ მე არასოდეს მითქვამს. რომარიო სულ სხვანაირი იყო, როგორც ადამიანი, როგორც მოაზროვნე. ამიტომაც ითამაშა 40 წლამდე და თავდაუზოგავობით და შრომით ამტკიცებდა იმის საპირისპიროს, რასაც მასზე კრიტიკოსები ამბობდნენ.

— რონალდინიო და დეკუ წავიდნენ. ეტოოც წასვლას აპირებდა, მაგრამ გარემოებათა გამო დარჩა...

— ჩვენ ზუსტად არ ვიცით, რა მოხდა, მაგრამ პრობლემა გუნდში იყო და არა მწვრთნელში, გუნდში კი ვითარებას კაპიტნები აკონტროლებენ. სწორედ ესაა კაპიტნის მოვალეობა და არა მხოლოდ მეტოქისთვის ხელის ჩამორთმევა მატჩის წინ. ამიტომ, ძალინ დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ ვის ჩააბარებენ სამკლავურს.

— გვარდიოლამ განაცხადა, რომ რონალდინო და დეკუ გუნდიდან რომ არ წასულიყვნენ, მათაც ისევე მოექცეოდა, როგორც დანარჩენებს. ეტოოც დაარწმუნა, რომ მის საწინააღმდეგო არაფერი არ აქვს.

— მწვრთნელმა აქცენტები სწორად დასვა და ვფიქრობ, რომ ეტოომ გვარდიოლას გაუგო, რომლის განცხდებასაც თუ გავშიფრავთ, ასე გამოვა: „მე მოვითხოვ, რომ ყველა ფეხბურთელი მაქსიმალურად დაიხარჯოს. თუ წასვლა გსურს, წადი, ჩემს მოთხოვნას ვინც არ შეასრულებს, არ მჭირდება. არ ვამბობ, რომ ცუდი ფეხბურთელი ხარ, მაგრამ რაკი აქ ხარ, საქმე უნდა აკეთო. მეთანხმები?“

გვარდიოლა ვარჯიშებზე არა მარტო სიტყვით უხსნის ფეხბურთელებს, თუ რა უნდა აკეთონ, არამედ თვითონ ასრულებს ვარჯიშებს.

„ამ გუნდის ფეხბურთელი მე უნდა დამემორჩილოს. თუ ჭკვიანად მოიქცევი, ითამაშებ, თუ არა და — წახვალ“. აი, ესაა გვარდიოლას მიდგომა. წესი ყველასათვის ერთია და გასაგები.

— მესი გუნდის ლიდერად ყალიბდება. რას ელით მისგან?

— ჩემი აზრით, „ბარსა“ სწორად მოიქცა, რომ პეკინში გაუშვა. მესი ჩემპიონად დაბრუნდა და არასოდეს დაივიწყებს, რომ კლუბმა მას ოლიმპიადაზე თამაშზე უარი არ უთხრა. გარდა ამისა, ეს ახალგაზრდებისთვის სამაგალითო ამბავია. ისინიც დარწმუნდებიან, რომ „ბარსელონა“ მათზე ზრუნავს.

— როგორ ფიქრობთ, მესის პროგრესი გაგრძელდება?

— რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი მას ცხვირწინ უდევს. ძალიან ნიჭიერია და აშკარაა, რომ წლიდან წლამდე უმატებს.

გულით გაკეთებულ საქმეს ვერაფერი წაახდენს. უნდა ენდოს მწვრთნელს, რადგან მან დაამტკიცა, რომ ფერხბურთელებზე ზრუნავს. გვარდიოლა თავიდანვე კარგად მიუდგა მესის.

ძალიან მინდა, რომ ის გამოცდილება, რაც არგენტინელმა მიიღო, „ბარსაში“ კიდევ უფრო წინსვლაში დაეხმაროს. ვიმედოვნებ, რომ სხვათა შეცდომებს არ გაიმეორებს.

— გვარდიოლას პირველ ნაბიჯებს როგორ შეაფასებთ?

— მან გასაგებად თქვა, რომ მთავარია გუნდი და არა ცალკეული „ვარსკვლავები“.

სათითაოდ ყველას აფასებს, მაგრამ ისინი ერთი გუნდის წევრები არიან. ჩემი აზრით, გვარდიოლას ფილოსოფია მოთამაშეებისთვის გასაგებია და „ბარსელონაში“ ვითარება ნორმალურია.

მწვრთნელის სასარგებლოდ მეტყველებს ის გამოცდილებაც, რომელიც მან „ბარსას“ მეორე გუნდში მუშაობისას მიიღო.

იქიდან რამდენიმე ნიჭიერი ფეხბურთელიც დააწინაურა. ზოგადად, დაშლის პირას მისული გუნდის ჩაბარება და მისი ხელახლა აწყობა იოლი საქმე არაა და რაკი ეს გვარდიოლამ ითავა, პატივისცემას იმსახურებს.

— გვარდიოლას მუშაობაზე სხვა ფაქტორებიც ახდენს გავლენას...

— რა თქმა უნდა. ხალხის 99 პროცენტს ვერც წარმოუდგენია, თუ რას ნიშნავს „ბარსელონას“ მწვრთნელობა. მწვრთნელის საქმის 40 პროცენტი მოიცავს მოედანზე შრომას, 60 კი თავისტკივილია, რომელსაც მოედანზე მომხდართან არანაირი კავშირი არ აქვს. გადაწყვეტილება მან უნდა მიიღოს.

— მაგალითად, ტრანსფერებისას...

— ვფიქრობ, რომ გუნდს აღარავის დამატება არ სჭირდება. ვუყურებ ახალგაზრდებს და ვრწმუნდები, რომ სხვა ფეხბურთელების ყიდვის აუცილებლობა არ არსებობს. მათგან რომელიმემ, შესაძლოა, ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიმკვიდროს, თუ არა და, „ბარსას“ მეორე გუნდში გაუშვებენ

— ზოგიერთები გვარდიოლას გამოცდილების ნაკლებობას უწუნებენ...

— სისულელეა. მას საკმაო ცოდნა აქვს და ფეხბურთელობისას უდიდესი გამოცდილება დააგროვა. ვხედავ, რომ გუნდის გაძღოლა შეუძლია, რადგან ამ ზაფხულს დამოუკიდებლად რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო.

როცა ყველაფერი კარგადაა, მაშინ არც არაფრის შეცვლაა საჭირო. ბოლო ორი წლის განმავლობაში არაერთხელ ვნახეთ, თუ როგორ გააფუჭეს საქმე მცდარი გადაწყვეტილებებით, როცა ამის აუცილებლობა სულაც არ არსებობდა. ამ შემთხვევაში რონალდინიოს არ ვგულისხმობ.

გვარდიოლამ ვითარება უნდა აკონტროლოს. თუ ყველაფერს შეამჩნევ, კარგი თანაშემწეები გყავს, საძირკველიც მყარია და დასახული გზიდან არ გადაუხვევ, თუ მოაშორებ გუნდიდან მას, ვინც საქმეს გიფუჭებს, „ბარსელონას“ მწვრთნელობას შეძლებ.

ეს არ ნიშნავს, რომ ამის შემდეგ გამარჯვებები თავისთავად მოვა. ეს მხოლოდ დასაწყისია და ასეთი საფუძველი თუ არ გაქვს, „ბარსას“ მსგავს გუნდში ძალიან გაგიჭირდება.

— გვარდიოლას ერთ ერთი ფრაზა იყო: „შვიდად, გუნდი კარგად ათამაშდება...“

— ლოგიკურია, რადგან მაყურებელი უკმაყოფილო იყო თამაშითაც და შედეგითაც. იგრძნობა, რომ გვარდიოლა საქმეს სიამოვნებით აკეთებს. ხალხმა არ იცის, რომ მან დიდი მსხვერპლი გაიღო. მე ვიყავი მისი მწვრთნელი, ოღონდ ამას თავის საქებად არ ვამბობ

— რა მსხვერპლი?

— როცა „ბარსელონაში“ მოვედი, ვიკითხე, საუკეთესო ვინაა-მეთქი. ყველამ გვარდილა დაასახელა. მინდოდა მისი თამაშის ნახვა „ბარსას“ მეორე გუნდში, მაგრამ იქ ვერ ვიპოვე. იქნებ უფრო პატარებშია? არც იქ იყო. რატომ? ის ხომ საუკეთესოა? კი, მაგრამ ფიზიკურად სუსტია.

თუ კარგი ფეხბურთი გეხერხება, ფიზიკური სისუსტე რა პრობლემაა? ამის გამოსწორება ხომ დროის ამბავია. მალე ასეც მოხდა, თუმც, მაშინაც კი, როცა დიდ „ბარსაში“ თამაშობდა, დიდად არ აფასებდნენ. ერთი ომის გადატანა მომიწია მისი კონტრაქტის გასაუმჯობესებლად. ამიტომაც ვფიქრობ, რომ მას უფრო დიდი გამოცდილება აქვს, ვიდრე მათ, ვინაც უფრო იოლი გზით იარა წარმატებამდე.

ტორესს კრკიჩი შეცვლის

ინგლისური „ლივერპულის" ფორვარდი ფერნანდო ტორესი სამი კვირით მწყობრიდან გამოვიდა და, სავარაუდოდ, მარსელის „ოლიმპიკთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩს გამოტოვებს. შესაბამისად, „ელ ნინიო" მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში ესპანეთის ნაკრებსაც ვერ დაეხმარება. პირენეელებს 6 და 10 სექტემბერს ბოსნიასა და სომხეთთან უწევთ თამაში და ამ შეხვედრებზე ტორესის შემცვლელად „ბარსელონას" ახალგაზრდა თავდამსხმელი ბოიან კრკიჩი მოიაზრება.

ამანატიდისი ბერძნებს ვერ დაეხმარება

ფრანკფურტის „აინტრახტის" ბერძენი ნახევარმცველი იოანის ამანატიდისი მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ ორ შესარჩევ მატჩს გამოტოვებს. მიზეზად მცირე ტრავმა სახელდება, რომელიც ფეხბურთელმა „ვოლფსბურგთან" შეხვედრისას მიიღო. საბერძნეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოტო რეჰაგელმა გადაწყვიტა, ამანატიდისის ნაცვლად არავინ გამოეძახა და განაცხადში მხოლოდ 19 ფეხბურთელი დატოვა. კვირას ელინები ლუქსემბურგს შეხვდებიან, ხოლო ოთხი დღის შემდეგ ლატვიელებს გაეჯიბრებიან.

ჰალის კუზენი

პრემიერლიგის დებიუტანტმა „ჰალ სიტიმ" ზაფხულის სატრანსფერო პერიოდის განმავლობაში ათი ფეხბურთელის შეძენა მოახერხა. ამათგან უკანასკნელი გაბონელი თავდამსხმელი დანიელ კუზენი გამოდგა, რომელიც „ვეფხვებმა" შოტლანდიური „რეინჯერსიდან" გადმოიყვანეს. ფორვარდმა შოტლანდიის ჩემპიონატის 28 მატჩში 11 გოლი გაიტანა, მანამდე კი ფრანგულ „ლე მანსა" და „ლანსში" გამოდიოდა.

მილიტომ გენუას მიაშურა

ესპანური „სარაგოსას" აწ უკვე ყოფილი თავდამსხმელის, დიეგო მილიტოს სახელი დიდხანს „ტოტენჰემ ჰოთსპურთან" იყო დაკავშირებული, მაგრამ საბოლოოდ „დეზებმა" რუსი რომან პავლიუჩენკო შეიძინეს და მილიტოც იტალიურ „ჯენოაში" გადაბარგდა. ლიგურიელებმა არგენტინელი ექვს მილიონ გირვანქად შეიძინეს და იგი „ლუიჯი ფერარისზე" 2011 წლამდე დარჩება

რიერა ენფილდზე აღმოჩნდა

ინგლისური „ლივერპულის" დამრიგებელმა რაფაელ ბენიტესმა თავისი გაიტანა და ბარსელონის „ესპანიოლიდან" ალბერტ რიერა მაინც გადმოიყვანა, თან ეს სატრანსფერო ფანჯრის დახურვის წინ მოახერხა. აღსანიშნავია, რომ „წითლებმა" 26 წლის ნახევარმცველისთვის ბრძოლაში თანაქალაქელ „ევერტონს" აჯობეს. რიერას ადრე უკვე ჰქონდა პრემიერლიგაში გამოსვლის სიამოვნება. ის იჯარის წესით „მანჩესტერ სიტის" შემადგენლობაში ირიცხებოდა. ტრანსფერის ღირებულებამ კი, სავარაუდოდ, 8 მილიონი გირვანქა შეადგინა: „რიერას ის გააჩნია, რასაც ვეძებდით — ფიზიკურად ძლიერია, ჰაერში კარგად იბრძვის და მარცხენა ფლანგზეც შესანიშნავად მოქმედებს. მას დიდხანს ვაკვირდებოდით, თან ალბერტო ინგლისურად საუბრობს და პრემიერლიგასაც იცნობს, ასე რომ, მას ადაპტაცია არ უნდა გაუჭირდეს" — განაცხადა რაფამ.

მონეგასკური შენაძენები

ფრანგულმა „მონაკომ" შვეიცარიის ნაკრების მცველი პატრიკ მიულერი შეიძინა. 31 წლის ფეხბურთელმა „მონეგასკებთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მიულერი გასულ სეზონში „ლიონში" გამოდიოდა და საფრანგეთის ჩემპიონთა შემადგენლობაში 154 მატჩი დაუგროვდა. გარდა ამისა, „ლუი II"-ზე სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე 23 წლის კორეელი თავდამსხმები პაკ ჩუ იუნი გადაბარგდა.

მირალასი გამფრინდა

ბელგიის ნაკრების თავდამსხმელი კევინ მირალასი „ლილიდან" „სენტ-ეტიენში" გადავიდა. „მწვანეებმა" ფორვარდთან ოთხწლიანი ხელშეკრულება დადეს. მირალასი ლიეჟის „სტანდარდის" აღზრდილია. „ლილში" 16 წლის ასაკში გადაბარგდა და საფრანგეთის ჩემპიონატის 76 მატჩში ათჯერ გამოიჩინა თავი.

ჰიგინბოთემი სტოკს დაუბრუნდა

ინგლისელი მცველი დენი ჰიგინბოთემი „სანდერლენდიდან" „სტოკ სიტიში" დაბრუნდა. ფეხბურთელი „შავი კატების" შემადგენლობაში ერთი წლის განმავლობაში გამოდიოდა, რის შემდეგაც კლუბის დატოვება გადაწყვიტა. გასულ სეზონში დენიმ „სანდერლენდის" შემადგენლობაში 22 თამაში ჩაატარა და სამი გოლიც გაიტანა, „სტოკთან" მისი კონტრაქტი კი სამ წელზეა გათვალისწინებული.

რასინგმა ჟიგიჩი ინათხოვრა

სანტანდერის „რასინგმა" სერბი ფორვარდი ნიკოლა ჟიგიჩი ინათხოვრა. „ვალენსიას" ფეხბურელით რამდენიმე ინგლისური კლუბი იყო დაინტერესებული, მაგრამ საბოლოოდ ჟიგიჩმა კასტილიელთა რიგებში გადასვლა გადაწყვიტა.

არჩილ ძობახიძე

ტოტალიზატორი

1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი | წყვილი | შედეგი | კოეფ-ტი | სისტ

— შენი ზოობილეთი დაჯდა?

— არა, რა დაჯდა, ტო! პროსტაამც, ბოლოდროინდელი ბილეთების გამო მაგარი შეშფოთებული ვარ.

— მეც მაგ პონტში. აღშფოთებას გამოვთქვამ. რეები გეწერა ზოოქვითარში?

— „ვეფხვების" აძინიქსი „უიგანთან", „მგლების" ლაბავოი ერთიანი „აინტრახტთან" და „მამლების" მეტი „ჩელსისთან". სამივე გაიმაზა.

— ეხლა რას აპირებ?

— ყვავილებზე უნდა გადავიდე

— კოლმეურნეობის მოედანზე?

— რა მოედნაზე, ტო! ზოოპარკმა არ გაამართლა და იქით კვირიდან მცენარეული ქვითრების დაწერას დავიწყებ.

— როგორ?

— „ფიორენტინა" ანუ „იები", „ბლექბერნი" ანუ „ვარდები" და ესე, რა... ზოოლოგიაში ჩავიჭერი და იქნებ ყვავილებში გავარტყა რამე მსუქანი კუში, ტო...

— მეც აღარ ვიცი, რა დავწერო. ვითომ უეჭველები მოვქექე შაბათ-კვირას, მარა ყველა ბობოლა ყომარის ხასიათზე როგორ იყო, მაგათი ვერაფერი გავიგე.

— რეები გეწერა?

— „მილანის", „რეალის" და „ბარსას" მოგებები გადავაბი, მეთქი სამივე პატიოსნად მოიგებს... პირველ ტურში ბიჭები არ მაწყენინებენ, მარა გაიასნდა, რო ბიჭებს ფეხებზე ვკიდივარ.

— კაი რა, ტო! „მილანი" რამ ჩაგაწერინა. თმაშეღებილი ბერლუსკონის გუნდზე კაცი მაყუთს დადებს?

მაგას ნეაპოლიდან ნაგავი ვერ გაუტანია და შევჩენკოს და რონალდინიოს დასდევდა. არ გახსოვს? შევა რო ჰყავდა გუნდში, რონალდინიოს დათრევას ჩალიჩობდა. ეხლა ორივე „მილანში" ჰყავს, მარა ხედავ, რა ხდება?

— რა?

— მეტი რა გინდა, ტო! იკაიფე, რა! დინიო და შევა იყიდა და „ბოლონიასთან" გოლი ამბროზინიმ გაიტანა. აზრზე ხარ? ეს შეღებილი თავი უკვე აშკარად აყომარებს „მილანს". ხალხი დააბოლა, გუნდი გავაძლიერეო და პირველივე ტურში „ბოლონიას" დაუწვა.

— ეგ კარგი, მარა „ბარსა"?

— ეეე... აბა შენა ხარ, ტო! „ბარსას" ტრენერი რომელი გოდაა, იცი?

— არა.

— მასტი სამოცდათერთმეტიანია და რა დროს მაგის ტრენერობაა. კაროჩე, „ბარსას" ფანებს მაგრა ეკაიფებიან გვარდიოლას დანიშვნით. აი, ნახავ, თუ „მილანმა" და „ბარსამ" ყოველ ტურში წყვილად არ იყომარონ. რონალდინიო იმენა მაგიტო გადავიდა, რო წყვილად გატეხვას კოორდინაცია გაუწიოს...

კუში კოშმარია

ჩემი ბილეთი:
ჩოგბურთი.
001. დემენტიევა — შნიდერი
შედეგი: გაზპრომი ევროპას გაზს გადაუკეტავს
სავარაუდო მოგება: შეშფოთება
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, თუ რა აკავშირებს ერთმანეთთან კუში კოშმარიას და ბერნარ კუშნერს

114140 *

ყველაზე სწრაფი მსოფლიოში

უკრაინის ჩემპიონატის პირველი ლიგის მატჩში „კრიმტეპლიცა" „ფენიქს-ილიჩევეცს" 2:2 დაუზავდა, ხოლო მასპინძელმა რომან ვოინაროვსკიმ ყველაზე სწრაფი გოლი გაიტანა პროფესიული ფეხბურთის ისტორიაში.

კრიმტეპლიცელმა მატჩის დაწყებიდან 3,5 წამში გახსნა ანგარიში.

რომან ვოინაროვსკი

გინესის რეკორდების წიგნში კი ყველაზე სწრაფად მარკ ბაროუსის გოლია გამოცხადებული, რომელიც ფეხბურთელმა 2004 წელს „კოუესი" — „ისტლის" მატჩისას 2,8 წამში გაიტანა, თუმც ეს იყო სამოყვარულო გუნდების მატჩი.

ზემოთ გითხარით, რომ ვოინაროვსკიმ ეს პროფესიონალური მატჩის მსვლელობისას მოახერხა. მანამდე პროფესიონალურ ფეხბურთში ყველაზე სწრაფი გოლი ესპანური „ვალიადოლიდის" თავდამსხმელმა ხოსება იორენტემ გაიტანა 2007 წელს „ესპანიოლის" კარში, მან ეს 7 წამში მოახერხა.

იორენტეს გოლამდე სარეკორდოდ 1986 წელს „ქაირათი" — კიევის „დინამოს (2:1) მატჩისას ევსტაფი ფეხლევანიდის გატანილი გოლი ითვლებოდა, რომელიც ყაზახმა ფეხბურთელმა მე-10 წამზე შეაგდო.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ბოლო დღის სიგიჟე
ბულგარელი ბიჭის რაინდი მძღოლი

სერ ალექსისა და დიმიტარის შეხვედრის პაპარაცული ფოტო

არის! სერ ალექს ფერგიუსონმა თავისი მაინც გაიტანა და ინგლისური სატრანსფერო სეზონის ბოლო წამს ბულგარელი ფეხბურთელი დიმიტარ ბერბატოვი გადაიბირა.

საოცარი ამბების დღეს „მანჩესტერ იუნაიტედის" შეფს მძღოლობაც კი თავად მოუხდა — ახალი ფორვარდი კლუბის საწვრთნელ ცენტრში საკუთარი „ბენტლით" მიაქროლა. ცნობისათვის: ამ მანქანის ფასი 130 ათასი გირვანქაა.

როგორც ახლა ირკვევა, ბოლო წამს ფერგიუსონს გვარიანი გააქტიურება დასჭირდა. თურმე, ნუ იტყვით და მას მერე, რაც „მანჩესტერ სიტი" არაბულმა კონსორციუმმა შეიძინა, თანაქალაქელ კონკურენტებს მადა გაეხსნათ და „იუნაიტედისთვის" ნადავლის ცხვირწინ აღლეტა მოუნდათ. მოკლედ, დიდი ამბები დატრიალდა: ბერბატოვი ლონდონიდან მანჩესტერში საკუთარი თვითმფრინავით ჩაფრინდა, სადაც აეროპორტში თავად ფერგიუსონი დახვდა და, როგორც ზემოთ გითხარით, საკუთარი მანქანით მიიყვანა ოფისში. მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის საქმიანი საუბარი სწორედ იქ (ფოტოზე სწორედ ეს, პაპარაცულად გადაღებული ამბავია აღბეჭდილი) გაიმართა.

როგორც ტაბლოიდები იტყობინებიან, ხსენებული საქმიანი საუბრის შემდეგ ფერგიუსონი კვლავ თავის „ბენტლიში" ჩაჯდა, ახლა უკვე ბერბატოვის აგენტ-იურისტები ჩაისვა და სადღაც გააქროლა, თავად ვარსკვლავი კი ცოტა ხანში „მერსედესით" სულ სხვა, ქალაქის „ბრიჯუოთერის კლინიკისკენ" მიმავალ გზას დაადგა. იქ ბულგარელმა სამედიცინო შემოწმება გაიარა.

ამრიგად, 31-მილიონიანი ტრანსფერი შედგა და მისი გაკვაჭვის შემდეგ სერ ალექსმა ასე განაცხადა:

„მეტისმეტად მნიშვნელოვანი შენაძენი გავაკეთეთ. დიმიტარი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი გახლავთ".

რაც შეეხება 27 წლის ვარსკვლავს, მან ასე განაცხადა:

„მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლა ჩემთვის ოცნების ახდენა გახლდათ".

კონტრაქტზე ხელის მოწერის შემდეგ ბერბატოვი „იუნაიტედის" საწვრთნელ ცენტში, მოედანზე გავიდა, სადაც სამასამდე ფანი ელოდა.

და კიდევ ერთი მანჩესტერული, ასევე ბოლო წამის ცნობა: ლუი საა „ევერტონში" გადავიდა.

ბაჩუნა ძიძია

ნესტამ ევროპას ზურგი შეაქცია

ევროპულმა კლუბებმა უკვე შეიტანეს განაცხადები უეფას თასის გათამაშებაზე და „მილანელთა" შემადგენლობაში არ არის 31 წლის მცველი ალესანდრო ნესტა.

„როსონერის" მცველს ამჟამად ზურგის ტრავმა აწუხებს და თებერვლამდე გამოჯანმრთელებას ვერ შეძლებს. ამიტომ კლუბმა გადაწყვიტა, ფეხბურთელი დიდად არ დატვირთოს და მხოლოდ სერია A-ს მატჩებში ათამაშოს.

სიენას მეორე რუმინელი

რუმინელი მცველი კოზმინ მოტი იჯარის წესით იტალიურ „სიენაში" გადავიდა. ტოსკანელებმა ფეხბურთელისთვის ბრძოლაში რომის „ლაციოს" აჯობეს და შედეგად ბუქარესტის „დინამოს" მცველი „სიენაში" თანამემამულე პაულ კოდრეას შეუერთდება. იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ „როსობლუს" მოტის სრულად გამოსყიდვის უფლება ექნება.

ნაპოლიმ არონიკა იყიდა

„ნაპოლიმ" „რეჯინადან" მცველი სალვატორე არონიკა შეიძინა, რომელიც მაურიციო დომიცის შემცვლელად განიხილება. დომიცი ფრიულულ „უდინეზეში" გადავიდა, თუმცა სანახევროდ მაინც „პარტენოპეის" საკუთრებად რჩება. რაც შეეხება არონიკას, იგი კალაბრიელთა მაისურით მოედანზე 69-ჯერ გამოვიდა და 2003 წლამდე ტურინის „იუვენტუსის" თანამფლობელობაში იმყოფებოდა. 30 წლის ფეხბურთელის განცხადებით, „სან პაოლოზე" თამაში ყოველთვის მისი ოცნება იყო.

ვან დეიკის უკანასკნელი კლუბი

ჰოლანდიელი მეკარე რობ ვან დეიკი როტერდამის „ფეიენოორდში" თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა და კარიერის დასრულებას აქ ასწრებს. 39 წლის გოლკიპერმა თავის ახალ კლუბთან ერთწლიანი ხელშეკრულება დადო და სასტარტო შემადგენლობაში ადგილის დასამკვიდრებლად გუნდის ძირითად მეკარესთან — ჰენკ ტიმერთან მოუწევს ბრძოლა.

არჩილ ძოგახიძე

სარბიელი და კროკო
წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი . I ლიგა						
		5 სექტემბერი						
22:45	107	ჰარეფორდი-სუინდონი	2.40	3.20	2.55	1.37	1.23	1.41
		6 სექტემბერი						
18:00	101	ტრანმერი-ოლდემი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
18:00	102	ბრაიტონი-სკანთორპი	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
18:00	103	უოლსოლი-ლეიტონი	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
18:00	104	კარლაილი-საუთენდი	1.70	3.40	4.35	1.13	1.22	1.90
18:00	105	ჩელტენემი-ჰადერსფილდი	2.65	3.20	2.35	1.44	1.24	1.35
18:00	108	ლიდსი-ქრიუ	1.50	3.60	6.50	1.05	1.21	2.31
18:00	109	მილუოლი-ჰარტლპული	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50
18:00	110	დონსი-იოვილი	1.75	3.20	4.35	1.13	1.24	1.84
15:15	111	პიტერბრო-როვერსი	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
		ინგლისი . II ლიგა						
		6 სექტემბერი						
18:00	112	ნოტსი-ბორნმუთი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
18:00	113	პორტ ვეილი-ბრედფორდი	2.35	3.20	2.65	1.35	1.24	1.44
18:00	114	ალდერშოტი-დარლინგტონი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
18:00	115	როჩდეილი-უიკომბი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
18:00	116	ბრენტფორდი-დაგ ენდ რედი	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
18:00	117	ჩესტერი-ბერი	2.60	3.20	2.35	1.43	1.23	1.35
18:00	118	ჩესტერფილდი-როტერჰემი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
18:00	119	ექსეტერი-აკრინგტონი	1.85	3.20	3.80	1.17	1.24	1.73
18:00	120	ჯილინგემი-გრიმსბი	1.70	3.40	4.35	1.13	1.22	1.90
18:00	121	ლინკოლნი-ბარნეტი	1.85	3.20	3.85	1.17	1.24	1.74
18:00	122	მაკლსფილდი-ლუტონი	3.10	3.20	2.15	1.57	1.26	1.28
18:00	388	მორიკომბი-შრიუსბერი	2.80	3.20	2.25	1.49	1.24	1.32
		ინგლისი . კონფერენსი						
		4 სექტემბერი						
22:45	366	კიდერმინსტერი-ტორკი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
		ინგლისი . კონფერენსი სამ						
		3 სექტემბერი						
22:45	375	ნიუპორტი-ჰევანტი	2.45	3.40	2.40	1.42	1.21	1.40
		შოტლანდია . I დივიზიონი						
		3 სექტემბერი						
22:45	123	ქუინი-როსი	1.75	3.50	3.85	1.16	1.20	1.83
		იტალია . სერია B						
		7 სექტემბერი						
17:00	133	ანკონა-ასკოლი	2.55	2.80	2.80	1.33	1.33	1.39
17:00	134	ლივორნო-მანტოვა	1.70	3.10	4.80	1.09	1.25	1.88
17:00	135	ალბინოლეფე-პარმა	2.70	2.90	2.45	1.39	1.28	1.32
17:00	136	გროსეტო-პიაჩენცა	1.90	3.00	3.85	1.16	1.27	1.68
17:00	137	ვიჩენცა-ემპოლი	2.75	2.90	2.45	1.41	1.29	1.32
17:00	138	ფროზინონე-ბარი	2.40	2.90	2.90	1.31	1.31	1.45
17:00	139	ტრიესტინა-აველინო	1.70	3.10	5.00	1.09	1.26	1.91
17:00	140	ჩიტადელა-სალერნიტანა	2.45	2.90	2.85	1.32	1.31	1.43
17:00	141	სასუოლო-პიზა	2.40	2.85	2.90	1.30	1.31	1.43
17:00	142	ბრეშა-ტრევიზო	1.55	3.30	6.20	1.05	1.24	2.15
17:00	143	რიმინი-მოდენა	1.70	3.10	5.50	1.09	1.29	1.98
		ჩეხეთი . II ლიგა						
		6 სექტემბერი						
12:15	199	სპარტა პრაღა-ვიტკოვიცე	1.55	3.50	5.20	1.07	1.19	2.09

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:00	201	ფულნეკი-ოლომოუცი	2.10	2.90	3.40	1.21	1.29	1.56
19:00	202	კარვინა -სოკოლოვი	2.45	2.90	2.70	1.32	1.28	1.39
21:00	203	სლოვაკეთი-ჩასლავი	1.85	3.20	3.80	1.17	1.24	1.73
19:00	204	ჰრადეც კრალოვე-დუკლა პრაღა	1.50	3.50	6.00	1.04	1.20	2.21
19:00	205	ოპავა-ტრინეკი	1.65	3.50	4.50	1.12	1.20	1.96
		7 სექტემბერი						
19:00	198	უსტი-იჰლავა	3.10	3.00	2.15	1.52	1.26	1.25
19:00	200	ბოჰემიანსი(პრაღა)-მოსტი	1.70	3.40	4.25	1.13	1.21	1.88
		დანია . I დივიზიონი						
		3 სექტემბერი						
21:00	396	კოლდინგი-ფრემი	2.15	3.40	3.00	1.31	1.25	1.59
		7 სექტემბერი						
17:00	397	ფრედერისია-ლიუნგბიუ	2.10	3.70	2.70	1.33	1.18	1.56
15:00	398	ფრემადი-აკადემისკი	2.65	3.20	2.25	1.44	1.21	1.32
15:00	399	ჰვიდოვრე-როსკილდე	1.65	3.70	4.75	1.14	1.22	2.07
15:00	400	სილკებორგი-ჰერფიოლგე	1.75	3.40	3.80	1.15	1.19	1.79
17:00	401	სკივე-ნესტვედი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
17:00	402	ლოლანდი-ტისტედი	2.25	3.40	2.70	1.35	1.22	1.50
17:00	403	კიოგე-ვიბორგი	15.00	7.00	1.12	4.77	1.04	1.00
		ნორვეგია . I დივიზიონი						
		6 სექტემბერი						
18:00	212	ოდ გრენლანდი-კონგსვინგერი	1.25	6.00	9.00	1.03	1.09	3.59
		შვედეთი . სუპერეტა						
		4 სექტემბერი						
21:00	222	ჰეკენი-სირიუსი	1.65	3.70	4.75	1.14	1.22	2.07
		ირლანდია . პრემიერ დივიზიონი						
		4 სექტემბერი						
23:00	238	შემროკი-ბრეი	1.65	3.30	5.00	1.10	1.24	1.98
		აშშ . MLS						
		5 სექტემბერი						
04:30	245	დალასი-კოლორადო	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
		6 სექტემბერი						
23:55	248	ტორონტო-ჩივასი	2.00	3.20	3.25	1.23	1.23	1.61
		7 სექტემბერი						
06:00	246	სან ხოსე-ვაშინგტონი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
06:30	247	ლოს ანჯელესი-სოლტ ლეიკი	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
03:30	249	კოლუმბუსი-ნიუ ინგლენდი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
04:30	250	ჩიკაგო-ნიუ იორკი	1.95	3.20	3.55	1.21	1.25	1.68
23:00	251	ჰიუსტონი-კანზასი	1.60	3.50	5.00	1.09	1.21	2.05
		ბრაზილია . ჩემპიონატი						
		4 სექტემბერი						
05:00	264	ფიგეირენსე-ფლამენგო	2.35	3.20	2.75	1.35	1.26	1.47
02:30	265	გოიასი-ატლეტიკო პრ	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
05:00	266	ატლეტიკო მნ-სან პაულუ	2.50	3.10	2.55	1.38	1.26	1.39
05:00	267	სანტოსი-ვიტორია	1.80	3.40	4.00	1.17	1.24	1.83
		5 სექტემბერი						
03:30	258	პალმეირასი-სპორტ რისიფე	1.50	3.60	5.80	1.05	1.19	2.22
03:30	262	ვასკუ და გამა-კრუზეირო	2.30	3.20	2.85	1.33	1.27	1.50
		7 სექტემბერი						
01:20	259	კურიტიბა-ბოტაფოგო	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
01:20	260	ნაუტიკო-იპატინგა	1.70	3.40	4.55	1.13	1.23	1.94
01:20	261	ფლუმინენსე-გრემიო	2.35	3.20	2.75	1.35	1.26	1.47
01:20	263	ინტერნასიონალი-პორტუგესა	1.35	4.10	8.30	1.01	1.16	2.74
		მჩ. შესარჩევი მატჩები						
		6 სექტემბერი						
17:00	1	მაკედონია-შოტლანდია	2.90	3.20	2.20	1.52	1.25	1.30
17:00	2	უელსი-აზერბაიჯანი	1.30	4.30	9.00	1.00	1.13	2.90
19:00	3	პოლონეთი-სლოვენია	1.45	3.70	7.00	1.04	1.20	2.42
19:30	4	სლოვაკეთი-ჩრდ. ირლანდია	1.95	3.20	3.70	1.21	1.27	1.71
20:00	5	მოლდოვა-ლატვია	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
20:00	6	სომხეთი-თურქეთი	7.00	3.60	1.40	2.37	1.16	1.00
22:00	7	მალტა-პორტუგალია	17.00	7.50	1.08	5.20	1.01	1.00
22:15	8	ხორვატია-ყაზახეთი	1.06	8.00	25.00	1.00	1.01	6.06
21:00	9	ნორვეგია-ისლანდია	1.35	4.10	8.00	1.01	1.15	2.71
21:00	10	უკრაინა-ბელარუსი	1.40	3.90	8.00	1.03	1.19	2.62
21:45	11	უნგრეთი-დანია	3.30	3.25	2.00	1.63	1.24	1.23
21:00	12	ისრაელი-შვეიცარია	2.35	3.10	2.80	1.33	1.27	1.47
22:15	13	ლუქსემბურგი-საბერძნეთი	19.00	8.50	1.07	5.87	1.01	1.00
22:45	14	ლიხტენშტაინი-გერმანია	25.00	10.00	1.03	7.14	1.00	1.00
22:00	15	ანდორა-ინგლისი	40.00	10.00	1.02	8.00	1.00	1.00
22:00	16	რუმინეთი-ლიტვა	1.30	4.50	10.00	1.00	1.15	3.10
22:15	17	სერბეთი-ფარერები	1.02	11.00	30.00	1.00	1.00	8.04
22:00	18	ჩერნოგორია-ბულგარეთი	4.30	3.40	1.70	1.89	1.21	1.13
22:30	19	ავსტრია-საფრანგეთი	5.50	3.50	1.55	2.13	1.20	1.07
22:45	20	ბელგია-ესტონეთი	1.25	4.70	11.00	1.00	1.12	3.29
20:45	21	ალბანეთი-შვედეთი	5.80	3.50	1.55	2.18	1.22	1.07
22:45	22	კვიპროსი-იტალია	12.00	6.20	1.15	4.08	1.04	1.00
23:00	54	არგენტინა-პარაგვაი	1.40	4.00	7.80	1.03	1.18	2.64
23:15	56	ეკვადორი-ბოლივია	1.45	3.80	6.85	1.04	1.19	2.44
		7 სექტემბერი						
00:00	23	ესპანეთი-ბოსნია ჰერცოგოვინა	1.20	5.20	12.00	1.00	1.09	3.62
		8 სექტემბერი						
04:00	60	ჩილე-ბრაზილია	3.70	3.20	1.85	1.71	1.23	1.17
		უეფა . ეჩ შესარჩევი მატჩები(21)						
		4 სექტემბერი						
22:45	340	შოტლანდია21-სლოვენია21	1.45	3.80	5.80	1.04	1.15	2.29
		5 სექტემბერი						
19:30	341	ბულგარეთი21-ირლანდია21	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
20:00	342	ფინეთი21-დანია21	2.80	3.10	2.15	1.47	1.21	1.26
20:30	343	საფრანგეთი21-მალტა21	1.02	8.00	15.00	1.00	1.00	5.21
21:00	345	ყაზახეთი21-ესპანეთი21	8.00	4.00	1.30	2.66	1.11	1.00
21:00	346	ხორვატია21-ალბანეთი21	1.15	5.50	14.00	1.00	1.06	3.94
22:00	347	ჰოლანდია21-ნორვეგია21	1.40	3.90	6.20	1.03	1.14	2.39
22:15	348	გერმანია21-ჩრდ ირლანდია21	1.15	5.50	13.00	1.00	1.05	3.86
22:15	349	ლუქსემბურგი21-ისრაელი21	15.00	6.00	1.10	4.28	1.02	1.00
22:30	350	ავსტრია21-ისლანდია21	1.40	3.70	6.90	1.01	1.16	2.40
22:30	351	სან მარინო21-ლატვია21	17.00	6.00	1.11	4.43	1.04	1.00
22:30	352	სლოვაკეთი21-ბელგია21	2.15	3.10	3.00	1.26	1.25	1.52
22:30	353	ინგლისი21-პორტუგალია21	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
23:00	354	იტალია21-საბერძნეთი21	1.35	3.70	8.50	1.00	1.16	2.57
		შოტლანდია . თასი						
		7 სექტემბერი						
18:00	384	კლაიდი-როსი	2.25	3.40	2.65	1.35	1.21	1.48
18:00	385	ლივინგსტონი-პარტიკი	2.05	3.40	3.00	1.27	1.21	1.59
18:00	386	ქუინი-მორტონი	1.65	3.50	4.35	1.12	1.19	1.93
18:00	387	კოუდენბითი-ერდრი	3.50	3.50	1.85	1.75	1.21	1.21
		იაპონია . თასი						
		3 სექტემბერი						
14:00	389	ნაგოია-ოიტა	1.90	3.20	3.55	1.19	1.23	1.68
14:00	390	შიმიცუ-გამბა	2.50	3.10	2.55	1.38	1.26	1.39
		ესპანეთი . თასი						
		3 სექტემბერი						
22:00	404	სოსიედადი-სარაგოსა	2.35	3.00	2.85	1.31	1.28	1.46
22:45	405	სალამანკა-ლას პალმასი	2.00	3.00	3.60	1.20	1.28	1.63
23:00	406	კასტელონი-ეიბარი	1.85	3.10	3.85	1.15	1.24	1.71
23:00	407	ელჩე-ალავესი	1.90	3.10	3.85	1.17	1.27	1.71
23:00	408	ტარაგონა-ხირონა	1.85	3.20	3.95	1.17	1.25	1.76
23:00	409	სერესი-მურსია	2.35	3.00	2.85	1.31	1.28	1.46
23:00	410	ტენერიფე-კორდობა	1.95	3.10	3.60	1.19	1.26	1.66
23:00	411	ჰერკულესი-ლევანტე	2.10	3.10	3.25	1.25	1.27	1.58
		4 სექტემბერი						
22:30	412	ალიკანტე-სელტა	2.55	3.00	2.60	1.37	1.28	1.39
		საფრანგეთი . თასი						
		3 სექტემბერი						
22:00	391	ვანი-დიჟონი	2.30	2.90	3.00	1.28	1.30	1.47
22:00	392	ისტრი-გენიონი	2.00	2.90	3.60	1.18	1.28	1.60
22:00	393	კრეტეი-ნიორი	2.25	3.00	3.25	1.28	1.32	1.55
22:00	394	ლიბურნი-ნიმი	2.70	2.90	2.70	1.39	1.35	1.39
22:00	395	ტუარი-ბულონი	2.50	2.80	2.75	1.32	1.30	1.38
		ხელბურთი . კაცები გერმანიის ჩემპიონატი						
		3 სექტემბერი						
22:15	322	მაგდებურგი-ესენი	1.03	15.00	10.00	1.00	1.00	6.00
22:15	328	ჰამბურგი-ვეტცლარი	1.01	15.00	15.00	1.00	1.00	7.50
22:15	331	ბერლინი-სტრალსუნდერი	1.20	12.00	4.30	1.09	1.00	3.16
22:15	334	ლემგო-მელსუნგენი	1.05	12.00	8.00	1.00	1.00	4.80
22:15	337	ნორდჰორნი-მინდენი	1.03	12.00	12.00	1.00	1.00	6.00





ჩაკარგული პეკინი

15-მილიონიანი პეკინში ყველაფერი ისე ჰგავს ერთმანეთს, რომ ერთი რომელიმე უბანი საგულდაგულოდ რომ დაათვალიერო, სხვებზე ალბათ ნაკლებად დაგწყდება გული, რაკი განსხვავებული შეიძლება ბევრი ვერაფერი აღმოაჩინო, მაგრამ ამ საოცარი მასშტაბებისა და კონტრასტების ქალაქში, მთავარი ღირსშესანიშნაობების მიღმა არის ადგილები, სადაც შემთხვევით თუ მოხვდები იმდენ საინტერესო რამეს ნახავ, რომ მეტი არ იქნება.

ჩინეთის დიდი კედელი, ტიანანმენის მოედანი, აკრძალული ქალაქი, პეკინის ცენტრალური ქუჩა - ვანფუძინი და სხვა ისტორიული ადგილები სავსეა ტურისტებით და უცხოელის გამოჩენა იქ ჩვეულებრივი, ყოველდღიური ამბავია, პეკინში ჩასული ადამიანიც პირველ რიგში სწორედ მათ მონახულებას ცდილობს.

თუმცა სულ სხვანაირი ეშხი აქვს ისეთი ადგილების აღმოჩენას, სადაც ჩვეულებრივი ჩინელები ცხოვრობენ, დილიდან-საღამომდე შრომობენ და საღამოობით კათხა ლუდთან დღის ამბებზე ბაასობენ.

ეს სრულიად განსხვავებული პეკინია, უბრალო, ძალიან ღარიბული და ასევე ძალიან ეგზოტიკური, რადგან ბევრგან ალბათ ვერ ნახავ ისეთ ადგილს, სადაც ხის შამფურზე აცმულ შემწვარი გველის ნაჭრებს, ან რვაფეხის, კუს თუ კიბორჩხალის ხორცს გთავაზობენ და თუ თვალში მოუხვედი თითო ბოთლ ლუდზეც დაგპატიჟებენ.

მოკლედ, პეკინის სამხრეთით მეტროსადგურ ტიანანდონგმენთან რამდენჯერმე მომიწია გავლა. ამ მეტროსადგურს ქართველები, ხშირად ვუტრიალებდით, მიზეზიც გვქონდა — მეტროსადგურთან ძალიან ახლოს იყო უზარმაზარი, რამდენიმესართულიანი სავაჭრო ცენტრები, სადაც ასეთი დევიზით გვაჭრებოდნენ — „შენი ფასი საუკეთესო ფასია“ და ამიტომაც იქ მისასვლელად დროის გამოძებნა ნამდვილად ღირდა.

ერთ დღესაც, სავაჭრო ცენტრის მონახულების შემდეგ, საზოგადოებრივი არხის ჟურნალისტ ოთო გიორგაძესთან ერთად „ოლიმპიურ სოფელში“ დაბრუნებას მეტროთი ვაპირებდი, როდესაც სწორედ იმ ადგილას გადავუხვიეთ, სადაც ის „სულ სხვა პეკინი“ ვიხილეთ. არადა, გარედან, ერთი შეხედვით ეს ერთ-ერთი ჩვეულებრივი პეკინური უბანი იყო, ფართო-ფართო ქუჩებით და უამრავი მოსიარულე ჩინელით. გადასახვევი ერთ-ერთ შენობასთან გამოჩნდა, რომლის წინ რამდენიმე მოხუცი იჯდა. ის მოხუცები რომ არა, ვიწრო შესასვლელი შეიძლება ვერც შეგვემჩნია და გვერდით ჩაგვევლო, თუმცა...

მოხუცებს გვერდი ავუარეთ, გრძელი და ვიწრო ქუჩა გავიარეთ და ფართო და გრძელ ქუჩაზე აღმოვჩნდით. პირველი ასოციაცია თბილისის ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიასთან გვქონდა, ანუ დაახლოებით ანალოგიურ ადგილას აღმოვჩნდით — სავსე მოვაჭრეებით, უსწორმასწორო გზა, ქუჩაში გამოტანილი უამრავი პროდუქტი, რიკშები, ჭრიალა ველოსიპედებზე შემჯდარი ჩინელები და საშინელი სიბინძურე ირგვლივ. პეკინის სუნს უკვე კი ვიყავით მიჩვეულები, მაგრამ „ამ პეკინის“ სუნი უფრო სხვანაირი იყო, კიდევ უფრო ღარიბული და ეგზოტიკური.

მოკლედ ისეთ ტერიტორიაზე აღმოჩნდით, სადაც ტურისტები ნაღდად უცხო ხილია და ეს სულ მალე ჩვენს თავზეც ვიგრძენით, როდესაც ვატყობდით, რომ იქაურები დიდიან-პატარიანად უცნაურად გვიყურებდნენ. მთავარი ამბებიც აქედან დაიწყო.

აქეთ დედა-შვილი ბადმინტონს თამაშობენ, ჩვენს დანახვაზე იპრანჭებიან, ყურადღება ეფანტებათ და ვოლანი გამუდმებით უვარდებათ.

პატარა ჩინელ გოგონას ვოლანს ვაწვდი, დედამისს ჩოგანს ვართმევ და თამაშიც ხურდება, პატარას უხარია, თავის მეგობრებს ეძახის — ნახეთ, შემომხედეთ ვისთან ვთამაშობო. ჩვენს გარშემო გულშემატკივრების რიცხვი იზრდება. მათ კიდევ ერთი ჩინელი შემოემატათ, ერთი შეხედვით ეტყობა ნამძინარევია, დგას და თვალებს იფშვნეტს, თან ისეთი ინტერესით გვიყურებს, რომ რაიმე არ გამოეპაროს. როგორც ჩანს, ეძინა და მეზობლებმა გააღვიძეს — გამოდი, ერთი ნახე (ეს ჩვენი ვარაუდია, მაგრამ სიმართლესთან ძალიან ახლოსაა), ვიღაც უცხოელები მოვიდნენ და ჩვენებთან თამაშობენო.

ნელ-ნელა ბნელდება, ვოლანიც აღარ ჩანს და ქართულ-ჩინური ბადმინტონიც მალე მთავრდება, პატარები ხელს გვიქნევენ და გვემშვიდობებიან. ერთ ათიოდე მეტრს გავდივართ და ჩვენს წინ ეგზოტიკური ცხოველებისა და თევზების დახლია.

გამყიდველს ვერაფრით ვაგებინებ თუ რატომ ყიდის ამ ყველაფერს, უბრალოდ, თუ როგორც საკვებს ისე. ბოლოს ერთ შედარებით მომცრო კუს ხელში ვიყვან და პირისკენ მივაქანებ, ანუ ვანიშნებ ამ ყველაფერს ალბათ როგორც საჭმელს ისე ყიდით ალბათ-თქო? მოთხვრილხალათიანი ჩინელი სიცილს ვერ იკავებს და უშნოდ იღრიჯება, მოკლედ, ერთმანეთს ვერ გავუგეთ და იქაურობასაც მალე ვშორდებით, მაგრამ „ვაგების მთელი ამბავი“ თურმე წინ გველის.

ეგზოტიკური ცხოველების მაღაზიასთან შორიახლოს ათიოდე ჩინელს, ჩვენებურად „ბორდიურთან“, თეთრი ძველისძველი „ფოლკსვაგენის“ გვერდით პატარა სუფრა აქვს გაშლილი. საღამო ხანს ეზოში კაცები რომ ჩამოჯდებიან ხოლმე და თითო ჭიქასთან აზრს უზიარებენ ერთმანეთს, ზუსტად ეგეთი სუტუაციაა. პატარა მაგიდას უსხედან და უკვე ბოლოში არიან გასული, ეტყობა ქეიფი ახალი დამთავრებული აქვთ, უბრალოდ სხედან და მუსაიფობენ, თან სიგარეტს აბოლებენ.

მსმელებს გვერდით ჩავუარეთ და მოპატიჟებამაც არ დაახანა — ჩინურად რაღაცას გვეძახიან და ხელით გვანიშნებენ აქეთ მოდით აქეთო. უარის თქმა არ გამოდიოდა არც ჩვენი და არც იმათი გაგებით, ერთი მივესალმეთ — „ნი ჰაუ“, იმათაც „ნი ჰაუაო“ და ეგაა რა — პეკინის მუშურ ბირჟაზე ვართ.

ვერ გავარკვიეთ თევზის შეჭამადს მიირთმევდნენ ჩვენი მასპინძლები თუ გველისას (ხელით კი გვანიშნეს აი იმას ვჭამთ რომ დაიკლაკნებაო). ზრდილობიან უარს ვეუბნებით, აი, ლუდზე კი დიდი სიამოვნებით ვთანხმდებით და პატარა ჩინელი ბიჭიც უფროსებს ჩვენთვის ლუდის მოსატანად დიდი ხალისით ეგზავნება. ლუდი საკმარისზე ბევრი მოვიდა, სალაპარაკოს კი, აბა, რა გამოლევდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა მასპინძლებმა გრამი ინგლისური არ იცოდნენ, ჩვენ კი ჩინური.

ჩინური ლუდის (ნაღდად არა უშავდა და კარგიც კი ეთქმოდა) პირველი ყლუპის შემდეგ რაღა თქმა უნდა, ჯერ ჩვენი ვინაობითა და სადაურობით დაინტერესდნენ — ჯორჯია, ჯორჯია, გრუზია (ჩინურად საქართველო გრუზიაა) ვეუბნებით და საოცარია, რომ პირველი რასაც ამბობენ ესაა — გრუზია? ოო, სტალინ, სტალინ, გრუზია. შემდეგ ერთ-ერთი, როგორც ჩანს, ყველაზე ერუდირებული ჩინელი გვეკითხება — სტალინ გორი, გორი და ხელით გვანიშნებს — დაბომბეს ახლა გორი თვითმფრინავებიდანო, ხო?

მოკლედ, საქართველოში მიმდინარე ამბები პეკინის ერთ-ერთ ყველაზე გადაკარგულ უბანში ასე გავარჩიეთ. ჩვენს მასპინძლებთან დიდხანს აღარ გავჩერებულვართ მიუხედავად იმისა, რომ პატარა ბიჭმა ლუდის ბოთლების ახალი პარტია დიდი ხალისით კიდევ მოარბენინა. მასპინძლებმაც ჩვენი შეგულიანება სცადეს — დაიცათ ცოტა ხანი, ლენინიც ვიცითო, მაგრამ გვეჩქარებაო ვუთხარით, ერთხელაც ჩამოვართვით ხელი და წამოვედით. გზად ჩინური სიმღერა გაგვაყოლეს, მელოდიური სიმღერა იყო, სასიამოვნო, ლუდსაც გვატანდნენ, თქვენია წაიღეთო, მაგრამ ის ვიკმარეთ რაც უკვე გახსნილი იყო.

უბნის ამოსასვლელთან, საიდანაც ისევ განათებულ და ფართო ქუჩებიან პეკინში გავედით, იქაურებს ურიკებზე სხვადასხვა უცნაურობები ჰქონდათ გამოფენილი და იქვე ბრაწავდნენ და წვადნენ. უფრო თევზეული ჭარბობდა — მოლუსკები, რვაფეხები, კიბორჩხალები, იქვე გველის მწვადის დაგემოვნებაც შეგეძლო. ირგვლივ ისეთი სუნი ტრიალებდა, რომ ხანდახან ახლაც მახსენდება ხოლმე იმ სუნის გემო. ერთი კი ვიფიქრეთ, გველი გაგვესინჯა, მაგრამ ვერ გავბედეთ, შემდეგისათვის გადავდეთ, თან შინისკენ გვეჩქარებოდა.

და წინ კიდევ ერთი აღმოჩენა, პეკინის მეტრო გველოდა, სადაც მეორე დღეს ამერიკა — ესპანეთის საკალათბურთო ფინალის ცქერა ვაგონში დამონტაჟებულ დიდ ეკრანზე პირდაპირ ეთერში მოვიხდა.

გიორგი ჯანიშვილი
ავტორის ფოტოები
პეკინი — თბილისი

ქართულ-აზერული სამკუთხედი ერთმა იცის, მეორემ არა, მესამე ვარაუდობს

ბესიკ ლიპარტელიანი

ფოტო ალექსანდრ ალექსიძის

გუშინ *ვწერდით, რომ საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი აზერბაიჯანულმა „ნტდ სერვის დევონმა“ გამოთქვა. ამის შესახებ აზერბაიჯანული სპორტული საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან.*

იქვე ამბობდნენ, რომ აზერბაიჯანელები ერთ-ერთ ვარიანტად ქართულ კლუბ თბილისის თსუ-სთან შეერთებასაც განიხილავდნენ.

ამასთან დაკავშირებით გუშინ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანს, თსუ-ს პრეზიდენტს, ცნობილ მოჭადრაკეს მაია ლომინეიშვილსა და თსუ-ს კალათბურთელ დათო ბარბაქაძეს შეკვეთანეთ. ბარბაქაძე ამ აზერბაიჯანულ კლუბში თამაშობდა და ამასთან ერთად დღესაც აზერბაიჯანის ნაკრების წევრია. „ნტდ-დევონის“ შემადგენლობა კი მთლიანად ნაკრების მოთამაშეების არის დაკომპლექტებული.

თავიდან საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტს **ბესიკ ლიპარტელიანს** *გავესაუბრეთ:* სიმართლე რომ გითხრათ, ჯერჯერობით ჩვენთვის, ფედერაციისათვის, არავის მოუმართავს საქართველოს ჩემპიონატში თამაშის თხოვნით.

— საერთოდ, რამდენადაა მსგავსი რამ შესაძლებელი?

— ეს ძალიან რთული საკითხია, მით უმეტეს, არც კი ვიცით, ეს სიმართლეა თუ არა. ამის შესახებ მხოლოდ ასე გადმოცემით ვიცით, უცხო ქვეყნის გუნდი სხვა ქვეყნის ჩემპიონატში თამაშობდნენ, არც კი გამიგია. საერთოდ კი, ალბათ შეიძლება ამ თემაზე საუბარი იგივე კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციასთან.

— როგორც ჩვენ გავიგეთ, კლუბი ელოდება ჩემპიონატის დაწყების თარიღის გარკვევას და ამას მერე აპირებს ოფიციალური თხოვნის გამოგზავნას...

— მსგავსი საუბრები შარშანაც იყო, თუმც ოფიციალური სახე მაშინაც არ მიუღია. ახლა თუ ოფიციალური წერილი მოვიდა, დაიწყება ამ ყველაფერზე მუშაობა.

— ახლა საქართველოს ნაკრებზეც გვითხარით, თქვენ დაესწარით ლატვიაში გამართულ ოთხთა ტურნირს...

— ლატვიაში საკმაოდ კარგად გამოვიდა ჩვენი ნაკრები, სამი შეხვედრიდან ორი მოვიგეთ და ერთი წავაგეთ. რაც მთავარია, სამივე ნაკრები „ა“ დივიზიონის ბინადარია.

— როგორი განწყობაა გუნდში?

— განწყობა ნამდვილად საბრძოლოა, მოტივაცია უმაღლეს დონეზეა აყვანილი, რაც უმნიშვნელოვანესია. ამის გარეშე არაფერი არ გამოვა.

— წელს ოთხივე თამაში გასვლაზე გვაქვს, მომავალ წელს კი ოთხ შეხვედრას შინ ვატარებთ, ეს რამდენად კარგია ჩვენთვის?

— ყველაფერს აქვს თავისი მინუსები და თავისი პლუსები. ცუდია ის, რომ ნაკრები 14 აგვისტოს შემდეგ გასულია ქვეყნიდან და 20 სექტემბრამდე ვერც დაბრუნდება. ამით ფსიქოლოგიურად შეიძლება გადაიღალონ. სამაგიეროდ, კარგია ის, რომ მომავალ წელს ოთხივე გადამწყვეტი შეხვედრა სახლში გვაქვს და ამით დიდი უპირატესობა გვექნება.

ლიპარტელიანთან საუბრის შემდეგ თსუ-ს პრეზიდენტს **მაია ლომინეიშვილს** *დავუკავშირდით:* „ნამდვილად პირველად მესმის, თუ აზერბაიჯანულ გუნდს ჩვენთან გაერთიანება სურს. ასეთი თხოვნა არასოდეს არ მოგვსვლია. რა საინტერესოა, აქამდე არც კი გამიგია ასეთი რამ. თსუ წელს ისევ თავის გუნდს გამოიყვანს და არავისთან გაერთიანებას არ ვაპირებთ“.

ბოლოს კი აზერბაიჯანის ნაკრების და თსუ-ს წევრს **დათო ბარბაქაძეს** *გავესაუბრეთ:*

— დათო, შენ ახლაც აზერბაიჯანის ნაკრების წევრი ხარ და ამასთან ერთად „ნტდ-დევონშიც“ თამაშობდი. რამე ინფორმაციას ხომ არ ფლობ მათი ჩვენს ჩემპიონატში თამაშის შესახებ?

— მელაპარაკნენ, ტელეფონით და მითხრეს, რომ სურთ, საქართველოს ჩემპიონატში ითამაშონ.

— რატომ გაუჩნდათ ასეთი სურვილი?

— მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანის ჩემპიონატიდან ამერიკელები, ლიტველები და საერთოდ, მაღალი დონის ლეგიონერები წავიდნენ, ჩემპიონატის დონე დაეცა, „ნტდ“ ძალიან მარტივად იგებს თამაშებს, ისე რომ, წინააღმდეგობასაც ველარავინ უწევს, ასე კი მოთამაშეები ველარ იზრდებიან. არადა, გუნდში აზერბაიჯანის ნაკრების საკმაოდ ბევრი წევრი თამაშობს. ჩვენ ამოვედით B დივიზიონში და ახლა გვჭირდება ისეთი ჩემპიონატი, სადაც მოთამაშეების კლასი დაბლა არ დაეცემა. ასეთად კი ბაქოელებმა საქართველოს ჩემპიონატი მიიჩნიეს.

— შენც ხომ არ შემოგთავაზეს მათ გუნდში გადასვლა?

— ასეთი შემოთავაზება მართლაც იყო, მაგრამ მე არ დავთანხმდი, მაქვს კონტრაქტი თსუ-სთან და არსად გადასვლას არ ვაპირებ. ისე, რამდენიმე მოთამაშეს კი ვურჩიე და, სავარაუდოდ, დაიმატებენ“.

გიორგი არაბული

მაია ლომინეიშვილი

დავით ბარბაქაძე

ფოტო ალექსანდრ ალექსიძის





ფოტო ალექსანდრ ალექსიძის

ნიკო ჭავჭავაძის გაწვრთნილ „ყოჩებს“ ლაშა მალაღურაძე დაუბრუნდათ

ჭავჭავაძის ახალი ყოჩები

გასული სეზონის ტრიუმფატორმა თბილისის „ყოჩებმა“ მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე მე-5 ადგილზე ჩაამთავრეს. არადა, წინა სეზონში ნიკო ჭავჭავაძის დამოძღვრილებმა დუბლი გააფორმეს — ეროვნული ჩემპიონატიც მოიგეს და ზედ თასიც დააყოლეს. უღიმღამო პირველი წრის შემდეგ, რომელშიც „ყოჩებმა“ ოთხი მარცხის წილ ოთხჯერ იმარჯვეს, რამდენიმე ახალი მოთამაშით გაძლიერდნენ. მოქმედი ჩემპო ინები ამჟამად ბაზალეთში არიან შეკრებაზე. ისინი თბილისში კვირის ბოლოს დაბრუნდებიან და 6 სექტემბერს მეორე წრის პირველ მატჩს „ლელოსთან“ გამართავენ. „ყოჩების“ მთავარ მწვრთნელ ნიკო ჭავჭავაძეს ბაზალეთში შევეხმიანეთ. მას გუნდში მომხდარ ცვლილებებსა და სამომავლო გეგმებზე ვკითხეთ...

— პირველი წრე არცთუ კარგად ჩაატარეთ. სიტუაციის გამოსწორებას როგორ აპირებთ?

— გარდა იმისა, რომ ინტენსიურად და მონდომებით ვემზადებით, გუნდს რამდენიმე ახალი მორაგბე შეემატა —საქართველოს ნაკრების მორაგბე ლაშა მალაღურაძე, პაატა მაისურაძე, მამუკა ცხადაძე, ირაკლი დგებუაძე, გიორგი ნიჟარაძე, დავით ჩაჩუა. ვფიქრობ, ეს მოთამაშეები მნიშვნელოვნად გააძლიერებენ ჩვენს გუნდს. მათი უმეტესობა გამოცდილი და უაღრესად პერსპექტიულია.

— შევსება მართლაც სოლიდურია, ხომ არ გამოგაკლდათ ვინმე?

— არა, დანაკლისი თითქმის არ გვაქვს, ყოველ შემთხვევაში, შარშანდელი გუნდის ძირითადი ბირთვის შევინარჩუნეთ.

— „ყოჩების“ ერთ-ერთ ლიდერს გიორგი კაჭარავას სახის ტრავმა ჰქონდა. ახლა როგორ არის?

— კაჭარავამ ტრავმა ბოლომდე ვერ მოიშუშა, მაგრამ იმედია, მალე შემოგვიერთდება.

— შარშანდელი დუბლის შემდეგ ალბათ არც ამბიცია მოგაკლდებოდათ. აპირებთ იმავეს გამეორებას?

— მართალია, უკვე ოთხი თამაში წავაგეთ, მაგრამ მეორე წრეში, ვფიქრობ, სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება. ჩემპიონობისა და თასის მოსაპოვებლად ბოლომდე ვიბრძოლებთ. რატომღაც დიდი იმედი მაქვს, რომ ორივეს მოვიპოვებთ.

ზურაბ მიგრიაული

სარბიელელები თანავუგრძნობთ საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრს და პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანს გიორგი გოგშელიძეს

მამის

გარდაცვალების გამო

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაუგრძნობს საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრს და პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანს გიორგი გოგშელიძეს

მამის

გარდაცვალების გამო

ქართული ხელბურთი ევროპას დაეთხოვა აქაც რუსეთი ჰალო?

გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწიაო, უთქვამთ და ეს გამონათქვამი ზედგამოჭრილია ისედაც არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფ ქართულ ხელბურთზე.ჩვენს ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ კვალი ყველას და ყველაფერს დაატყო და, ბუნებრივია, ამ სიტუაციიდან თავი ვერც ქართულმა სპორტმა დაიძვრინა. ფეხბურთისა და კალათბურთის ეროვნული ნაკრებები ოფიციალურ თამაშებს თუ ევროპაში ჩაატარებენ, ხელბურთის ნაკრები სულაც ისე დაგვრჩა და 2010 წლის ავსტრიის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მონაწილეობას ვეღარ მიიღებს. ეს იძულებითი გადაწყვეტილება ხელბურთის ფედერაციამ მას შემდეგ მიიღო, რაც ცნობილი გახდა, რომ სახელმწიფოსგან ფინანსურ მხარდაჭერას არ უნდა ელოდეს. ნაკრებს მომზადება სჭირდებოდა, საჭირო იყო ლეგიონერების ჩამოყვანა, დარბაზისთვის ფულის გადახდა... არადა, როგორი საქმეა, შემოდგომაზე ნაკრებმა თბილისში „ჩელენჯ-ტროფის" ჯგუფური. ეტაპი მოიგო, მერე ნორვეგიაში სულაც ტურნირის გამარჯვებული შეიქნა და როცა გარკვეული გამოცოცხლება უნდა დაწყებულიყო, ეს ამბავიც მოხდა.

გუშინ ხელბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან ***ზურაბ პაპაბაძეს*** *ვესაუბრეთ და ამ საკითხის გარდა სხვა ამბებსაც შევეხეთ.*

— ამ ნაბიჯის გადადგმა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით მოგვიწია. ქვეყანაში შექმნილმა საომარმა მდგომარეობამ ჩვენი გეგმები თავდაყირა დააყენა. სახელმწიფო ვეღარ ახერხებს ფინანსების გამოყოფას და იძულებულები გავხდით, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში თამაშზე უარი გვეთქვა.

იმისთვის, რომ ნაკრებს ევროშესარჩევში ეთამაშა, დაახლოებით 310 ათასი ლარი იყო საჭირო, მაგრამ ეს თანხა ვერ გამოგვიყვეს.

ფული უნდა დახარჯულიყო დარბაზის დაქირავებაზე, ლეგიონერების ჩამოყვანაზე, ამუნიციაზე...

— ევროპის ხელბურთის ფედერაცია როგორ შეხვდა ამ ამბავს. სანქციები ხომ არ გელის?

— მათ ავუხსენით ჩვენს ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია და გაგებით მოეკიდნენ საკითხს. საერთოდ, ასეთ დროს ძალიან სერიოზული სანქციებია ხოლმე, მაგრამ გამონაკლისი დაუშვეს საქართველოსთვის და ნაკრები გათამაშებიდან უსანქციებოდ მოიხსნა. ბუნებრივია, არ გვითქვამს, რომ ფინანსური პრობლემების გამოც ვერ ვახერხებდით თამაშს, ძირითად დაბრკოლებად ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია დავასახელეთ. ასე რომ, საერთაშორისო ფედერაციისგან არანაირი სანქცია არ გველის.

— გამოდის, რომ ნაკრები მომავალ შესარჩევამდე არ ითამაშებს?

— მომავალ წელს „ჩელენჯ ტროფში" აუცილებლად მივიღებთ მონაწილეობას. საერთაშორისო ფედერაციაში განხილვის სტადიაშია საკითხი, რომ მსოფლიოს ხუთ კონტინენტზე „ჩელენჯ-ტროფის" გამარჯვებული ნაკრებები ერთმანეთს გაეჯიბრებიან. თუმც ეს ჯერ საუბრის დონეზეა. 2009 წელს კი ჩვეულებრივად ჩატარდება ეს ტურნირი და, წინა „ჩელენჯ-ტროფის" მსგავსად, ფინალს ევროპის ჩემპიონატის მსვლელობის დროს ევროპირველობის მასპინძელი ქვეყანა, ამ შემთხვევაში ავსტრია უმასპინძლებს.

— საქართველოს ჩემპიონატი როდისღა დაიწყება. ალბათ ამ მხრივაც შეგექმნათ პრობლემები?

— აგვისტოს შუა რიცხვებში უკვე მზად გვქონდა ხოლმე კალენდარი, მაგრამ ახლა დაზუსტებული არც ესაა, ისევ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გამო, თუმც ვაპირებთ, რომ სექტემბრის ბოლოს ბავშვთა ჩემპიონატი დავიწყოთ, ნოემბრის ბოლოსკენ კი ეროვნული ჩემპიონატის ორი ტური მაინც უნდა ჩავატაროთ.

— ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობა ისევ ოთხი იქნება, თუ დაემატება?

— ჩემპიონატში ექვსი გუნდი ითამაშებს. იმ ოთხ გუნდს, რომელიც თამაშობდა, სავარაუდოდ, სამტრედია და ბათუმი დაემატება — არ არის გამორიცხული, თელავიც.

მათ, ძირითადად, ჭაბუკთა გუნდი ჰყავთ, თუმც რამდენიმე გამოცდილ მოთამაშესაც დაიმატებენ.

—თამაშები ისევ თბილისში ჩატარდება, თუ რეგიონებშიც იქნება?

— გვინდა, რომ ტურობრივად ჩავატაროთ პირველობა და რეგიონებშიც ვათამაშოთ გუნდები. ოზურგეთში, ქუთაისსა და კიდევ რამდენიმე ქალაქში კარგი დარბაზები აშენდა. გვინდა, რაც შეიძლება, მეტი ახალგაზრდა დავაინტერესოთ ხელბურთით. ასევე დამუშავების სტადიაშია პროექტი, რომელიც სკოლებში ხელბურთის შეტანას ითვალისწინებს და ვნახოთ...

ლექსო მაისურაძე



ჩახნაშვილი-ლაბაძის ბადის ამბები

უკრაინის ქალაქ ჩერკასში მიმდინარე ჩელენჯერის სერიის 50 000-დოლარიან ტურნირზე ქართველმა ირაკლი ლაბაძემ საკვალიფიკაციო ეტაპი დაძლია და ძირითად ბადეში ბელარუს ვლადიმირ იგნატიკთან ითამაშებს. იქამდე საკვალიფიკაციოში ქართველ ჩოგბურთელს ერთი შეხვედრის მოგება მოუწია. შესარჩევის პირველი ეტაპი უმეტოქეოდ გაიარა, ხოლო შემდეგ უკრაინელი ივან დერეპა დაამარცხა საკმაოდ იოლად — 6:2; 6:0.

ამავე ტურნირზე ლაბაძე წყვილთა შეჯიბრებაშიც გამოდის. იგი გერმანელ ბასტიან კნიტელს შეუწყვილდა. ქართულ-გერმანული დუეტი თავის პირველ მატჩს პაველ კატლიაროვი (ბელარუსი) და ნიკოლაი ნესტეროვის (რუსეთი) ტანდემთან გამართავს.

საფრანგეთის ქალაქ დენენში ITF-ის ეგიდით დაწყებულ ქალთა ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდიც 75 000 დოლარია, ქართველი მაკა ჩახნაშვილი იქნევს ჩოგანს. პირველ რაუნდში მაკას მეტოქედ მასპინძელი ოლივია სანჩესი ერგო.

წყვილთა ასპარეზობაში ჩახნაშვილი რუმინელ ალექსანდრა დულგერუსთან ერთად გამოვა. ჩახნაშვილ-დულგერუს ტანდემი პირველ შეხვედრაში პოლონელ ალექსანდრა გრელასა და ბელგიელ ფეისი ბებრიხის დუეტთან გამოარკვევს გამარჯვებული წყვილის ვინაობას.

ზურაბ მიზრიაული

პეკინში ქართული მძლეოსნობა გაუარესდა

პეკინის ოლიმპიადაზე საქართველოს ღირსებას ორი მძლეოსანი იცავდა, 110 მეტრ თარჯრბენში დავით ილარიანმა ირბინა, ხოლო ბირთვი მარიამ ქევხიშვილმა ჰკრა. ამ ეტაპზე მათგან მედლებს ნამდვილად არავინ ელოდა, თუმც ვერც შედეგებით ვიქნებით კმაყოფილი, ქევხიშვილმა სულაც ლამის 2 მეტრით გააუარესა თავისივე შედეგი.

გუშინ მძლეოსნობის ფედერაციის გენერალურ მდივანს მაია აზარაშვილს შევეხმიანეთ და ქართველი მძლეოსნების გამოსვლა შევაფასებინეთ...

— დავით ილარიანისგან რასაც ველოდით ის შედეგი მივიღეთ. მასაც სურდა, რომ პირველი ეტაპი გაევლო და მეოთხედფინალში გასულიყო. მართალია თავისი შედეგი გააუარესა, მაგრამ სამაგიეროდ, რაც ჰქონდა დასახული ის პროგრამა მინიმუმი შეასრულა. ახლა მისგან მეტს არც ველოდით.

— მარიამ ქევხიშვილს ასეთ სუსტად გამოსვლას თუ ელოდით?

— ნამდვილად არ მეგონა, თუ მეტს ვერ შეძლებდა. ძალიან ცუდი შედეგი ჰქონდა და ვერაფრით ვხსნი, რატომ. ჯერ მარტო სამი ცდიდან ორი გააფუჭა იმის გამო, რომ ხაზს გადაცდა. 15,99 მეტრი ბევრად ნაკლებია მის მიერ ნაჩვენებ საუკეთესო შედეგზე.

— ჩვენი მძლეოსნები სად გააგრძელებენ მზადებას?

— ქევხიშვილი ამერიკაში სწავლობს და იქვე მოემზადება. ილარიანზე ჯერ ვერაფერს გეტყვით. ქვეყანაში შექმნილმა სიტუაციამ მათაც შეუქმნა პრობლემები. მომავალ წელს მსოფლიოს ჩემპიონატი ელით გერმანიაში და ვნახოთ. იქამდე კი კონკრეტული არაფერი ჩანს.

ნიკა კოპაძე

US OPEN 2008 ჰარდი. 25 აგვისტო-7 სექტემბერი. საპრიზო 15 900 000 დოლარი

უილიამსების მეოთხედფინალი უილიამსებისთვის მარაზმია



სერენა უილიამსი

კაცები

მეოთხე წრე

რაფაელ ნადალი (1, ესპანეთი) — სემ ქუერეი (აშშ) 6:2 5:7 7:6 6:3; მარდი ფიში (აშშ) — გაელ მონფილზი (საფრანგეთი) 7:5 6:2 6:2; ხუან მარტინ დელ პოტრო (17, არგენტინა) — კეი ნიშიკორი (იაპონია) 6:3 6:4 6:3; ენდი მიურეი (6, ბრიტანეთი) — სტანისლას ვავრინკა (10, შვეიცარია) 6:1 6:3 6:3

ქალები

მეოთხე წრე

სერენა უილიამსი (4, აშშ) — სევერინ ბრემონი (საფრანგეთი) 6:2 6:2; დინარა საფინა (6, რუსეთი) — ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია) 7:5 6:0; ვინუს უილიამსი (7, აშშ) — აგნეშკა რადვანსკა (9, პოლონეთი) 6:1 6:3; ფლავია პენეტა (16, იტალია) — ამელი მორესმო (32, საფრანგეთი) 6:3 6:0

სრული მარაზმი — აი, რას ფიქრობს სერენა უილიამსი იმის თაობაზე, რომ უფროს დასთან უკვე მეოთხედფინალში მოუწევს თამაში. არადა, ახლა ორივე ისეთ ფორმაშია, რომ წესით, ფინალში გასვლა არც ერთს არ უნდა გასჭირვებოდა — ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მართლაც არავინ ჩანს, მათი გაჩერება რომ ხელეწიფებოდეს.

ჰოდა, გასაკვირი არაა, რომ სერენა განაწყენებულია, რადგანაც ყველაზე ძლიერ მეტოქესთან ასე ნაადრევ ეტაპზე მოუწევს დატაკება. უმცროს უილიამსს აშკარად ერჩივნა, წლევანდელი უიმბლდონივით მხოლოდ სატიტულო მატჩში დამდგარიყო ვინუსის პირისპირ.

უილიამსების გაბრაზება გასაგებია, მაგრამ შეუძლიათ, დიდწილად ყველაფერი ეს თავიანთ თავს დაბრალონ — რეიტინგში მათი დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე სრულიად კანონზომიერია, რომ ასე ადრეულად უწევთ დატაკება. ეს კი თავის მხრივ იმის გამო ხდება, რომ შავდები ბლომად ტურნირებში თამაშზე უარს ამბობენ ხოლმე. ასე რომ, საწუწუნოც ბევრი არაფერი უნდა ჰქონდეთ.

გუშინ კი ვინუსსა და სერენას შესაბამისად, აგნეშკა რადვანსკა და სევერინ ბრემონი ემსხვერპლნენ, რაც ყველაზე საინტერესოა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ შავდები წინასწარ ეჯიბრებიან ერთმანეთს და მეტოქეებს თითქმის ერთნაირად აცამტვერებენ — მოგეხსენებათ, წინა წრეში ორივემ 6:2, 6:1 იხეირა. გუშინ უილიამსები მთლად ასე ერთსულოვანნი არ ყოფილან, მაგრამ ორივემ მხოლოდ 4-4 გეიმი დათმო.

ძნელია ამას წინააღმდეგობის გაწევა დაარქვა, მაგრამ რადვანსკამ შედარებით დიდ ხანს გაუძლო ვინუსის მასირებულ შეტევებს. ისიც, მხოლოდ მეორე სეტში და 3:3-მდე კვალში სდია ამერიკელს, მაგრამ შემდეგ მაინც გატყდა და ზედიზედ სამი გეიმის წაგებით ყველანაირ იმედს გამოემშვიდობა.

„რა უნდა მექნა — ის უბრალოდ ერთი თავით მჯობდა. ისე ურტყამდა ბურთს, რომ რეაგირებას კი არა, დანახვასაც ვერ ვახერხებდი“ — დაბნეულად იჩეჩდა მხრებს ნამატჩევს რადვანსკა.

შიდაუილიამსურ ჯახს კი ყველა მოუთმენლად ელის. აღნიშნული შეხვედრა თავად შავდებისთვისაც ფრიად მნიშვნელოვანია — ეს ხომ მათი მე-17 დაპირისპირება იქნება. აქამდე ორივეს 8-8-ჯერ მოუგია და ამიტომ აქ ისიც გადაწყდება, თუ ვინ დაწინაურდება პირად ქიშპში.

შავდებს ასე უეჭველ ფავორიტებად კი ვასახელებთ, მაგრამ არიან ჩოგბურთელები, რომლებიც ძალთა ასეთ განლაგებას არაფრის დიდებით არ ეთანხმებიან. ერთ-ერთი მათგანი დინარა საფინაა, რომელიც წლეულს ყველაზე სტაბილურად თამაშობს. რუსი არც „ფლეშინგ მედოუზზე“ აგდებს ტემპს და აგერ მეოთხეფინალშიც ძალიან უპრობლემოდ მივიდა. ეს იმის ბრალიცაა, რომ დინარას არცთუ ძლიერი მეტოქე ჰყავდა ანა-ლენა გრონეფელდის სახით, რომელმაც თითქმის წლიანი გაუჩინარების შემდეგ მოულოდნელად გაისროლა და მეოთხე წრემდე მივიდა. მაგრამ გერმანელს გუშინ თითქოს საწვავი გამოელია — ეტყობა, ანა-ლენა თავის ქვეყანასავით „გაზპრომის“ ბუნებრივ აირზე იყო დამოკიდებული და საფინამ მისი მიწოდება შეუწყვიტა — აშკარად ყურებჩამოყრილი იყო და ღირებული არაფერი უქნია.

საფინას კი მეოთხედფინალში ფლავია პენეტა ელის, რომელიც ამელი მორესმოს ძალიან ადვილად მოერია.

ახლა კი კაცთა შეხვედრებს მივუბრუნდეთ და რაფაელ ნადალით დავიწყოთ, რომელსაც წლევანდელ აშშ-ს ღია პირველობაზე პირველი სერიოზული პრობლემები შეექმნა. არადა, ესპანელი სემ ქუერეისთან შეხვედრაში თავის ატკივებას არაფრით ელოდა.

მატჩი მართლაც ისე დაიწყო, ყველამ იფიქრა, ესპანელს ჰა-ჰა, ორი საათი დასჭირდესო, მაგრამ დროის ამ მონაკვეთის გასვლის შემდეგ სეტებში ანგარიში 1:1 იყო, მალიორკელი კი გვარიანად ანერვიულებული გახლდათ. არადა, მეორე პარტიაში 4:2 მიჰყავდა და თითქოს ყველაფერი იოლად უნდა მოეთავებინა, მაგრამ ამის მაგივრად აიჭრა და ზედიზედ მიაყოლა ორმაგი შეცდომები. შეიძლება, ეს იმის ბრალიც იყო, რომ რაფას შუადღეს უწევდა თამაში და მზის დარტყმა მიიღო.

ხუმრობა იქით იყოს და ესპანელი თავის თავს მართლაც არ ჰგავდა. ნადალი მეორე სეტის შემდეგაც მაგრად აბნეულად თამაშობდა და მისი ბედი, რომ მეტოქედ ქუერეი ჰყავდა — სხვა ოდნავ მაღალი კლასის, ანაც უფრო გამოცდილი მეჩოგნე მალიორკელს გამარჯვებას არ გაატანდა.

ქუერეის მთავარი დამსახურება კი ის იყო, რომ ბოლომდე იბრძოლა და მსოფლიოს პირველ ჩოგანს თავი არაფრით დაუხარა. იმავე ბოლო სეტში, როცა რაფას გამარჯვებამდე ორი გეიმიღა აკლდა, ამერიკელი სამკვდრო-სასიცოცხლოდ ჩაფრინდა მეტოქეს და 7 ბრეიკ-პოინტიც ჰქონდა, თუმც ესპანელმა მასპინძლის ეს თავგანწირული შეტევაც მოიგერია და „ფლეშინგ მედოუზზე“ თავის საუკეთესო შედეგს გაუტოლოდა — მეოთხედფინალში გავიდა.

„ცოტა არ იყოს, გიჟური მატჩი იყო, არა?“ — ეკითხებოდა ნამატჩევს გვარიანად დაღლილი ნადალი ჟურნალისტებს.

ქუერეიმ კი ამაყად განაცხადა — იოლად არაფერი დამითმია და მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი ყველა ქულისთვის ბოლომდე ვაბრძოლეო.

სხვათა შორის, ესპანელმა ნამატჩევს არასათამაშო თემებისთვისაც მოიცალა და სასტიკად გააკრიტიკა ATP-ის პრეზიდენტი ეტიენ დე ვილიერსი, რომელიც დეკემბერში პოსტიდან გადადგომას აპირებს:

„იმედი მაქვს, მისი შემცვლელი ჩოგბურთელებთან უფრო ახლო კონტაქტს დაამყარებს, ახალი პრეზიდენტი ჩოგბურთში უფრო მეტად იქნება გარკვეული. თუნდაც ახლა არსებული სათამაშო გრაფიკი ავიღოთ — ამაზე კოშმარული და გადატვირთული რამის გამოგონება მართლაც ძნელი იქნებოდა“.

ჩვენ კი ისევ კორტზე დატრიალებულ ამბებს მივუბრუნდეთ — ნადალს შემდეგი მეტოქეც მასპინძელი ეყოლება, მარდი ფიში. ამ ამერიკელმა ჯეიმს ბლეიკის შემდეგ არც გაელ მონფილზი დაინდო და ფრანგს ძალიან ადვილად გადაურბინა. ნაწილობრივ ეს იმის ბრალიც იყო, რომ გალს ტრავმა აწუხებდა და მატჩის მიმდინარეობისას ორჯერ მოუწია ექიმის კორტზე გამოძახება.

და რას ფიქრობს მისტერ ფიში ნადალთან შეხვედრაზე?

„ვფიქრობ, მას ჩემი სტილის ჩოგბურთელთან თამაში გაუჭირდება. მე ერთი-ორი დარტყმის შემდეგვე ვცდილობ შეტევას, ამიტომ არ ვაპირებ მის სტილს ავყვე და უკანა ხაზიდან ხანგრძლივ გათამაშებებში ჩავება“ — დარწმუნებულია საკუთარ ძალებში იანკი.

მეორე მეოთხედფინალური წყვილი კი ახალგაზრდული იქნება — ენდი მიურეი ბოლო კვირებში სასწაულ ფორმაში მყოფ ხუან მარტინ დელ პოტროს დაეტაკება. ბრიტანელმა გუშინ პირწმინდად დაჩაგრა სტანისლას ვავრინკა, არგენტინელმა კი პირველობის ერთ-ერთ აღმოჩენად ქცეულ კეი ნიშიკორის გადაურბინა.

ისე, მიურეი-დელ პოტროს შეხვედრას გვარიანი ინტრიგა ახლავს თან — ამ ჩოგბურთელებს ძალიან დაძაბული ურთიერთობები აქვთ, რაც განსაკუთრებით გამძაფრდა წლევანდელი რომის მასტერსის დროს, როცა მიურეიმ არგენტინელი დაადანაშაულა, ტრიბუნებზე მყოფ დედაჩემს შეურაცხყოფა მიაყენაო.

ასე რომ, ამ მეოთხედფინალისგან ემოციებით დამუხტულ ბატალიას ველით.

ძახა ლომაშვილი



ენდი მიურეი

la vuelta'08 63 edición · vuelta a españa

63-ე ლა ვუელტა ესპანა. 30 აგვისტო-21 სექტემბერი

ბოონენის პირველი და მეცამეტე

ერთდღიანი კლასიკური რბოლების ბელგიელმა სპეციალისტმა, „ქვიკ სტეპის“ ფინიშიორმა ტომ ბოონენმა კარიერაში პირველად მოიგო ესპანური ველომარათონის ეტაპი და სეზონში მოპოვებული გამარჯვებების რიცხვი ცამეტამდე აიყვანა.

კოკაინის ყნოსვაში მხილებულ ბოონენს სეზონის უმთავრესი რბოლა, ფრანგული „ტური“ გამოატოვებინეს და ბელგიელი რეაბილიტაციას „ვუელტაზე“ ცდილობს. მესამე ეტაპზე მას ეს მშვენივრად გამოუვიდა — ხაენიდან კორდობამდე გაჭიმული თითქმის 169-კილომეტრიანი გზის ბოლოს „ქვიკ სტეპმა“ თავის ლიდერს კარგი პლაცდარმი შეუქმნა და ბოონენმაც მშვენივრად ისარგებლა ამით, ჯგუფური ფინიშისას აჯობა რა სპრინტის ისეთ ოსტატებს, როგორებიც იტალიელი დანიელე ბენატი და გერმანელი ვეტერანი ერიკ ცაბელი არიან.

ბენატიმ ბოონენთან ფინიში კი წააგო, მაგრამ სხვა მხრივ იხეირა და ალეხანდრო ვალვერდეს ლიდერის ოროსფერი მაისურა ჩამოართვა — იტალიელი მეორე ადგილზე დაქვეითებულ ესპანელს 7 წამით უსწრებს.

ეტაპი კი საკმაოდ საინტერესო გამოდგა. „ანდალუზიას“ ესპანელი მანუელ ორტეგა ადრეულად გაექცა პელოტონს და კარგა ხანს ეულად მიდიოდა წინ, მაგრამ მესამე კატეგორიის სირთულის მთის, სან ხერონიმოს აღმართში ორტეგას ძალა გამოელია და მას ექსპრესივით ჩაუქროლა „ქვიკ სტეპის“ კიდევ ერთმა ლიდერმა, მსოფლიოს იტალიელმა ჩემპიონმა პაოლო ბეტინიმ, რომელმაც პელოტონი თითქოს ნოკდაუნში ჩააგდო, მაგრამ ბოლომდე ძალა აღარც ბეტინის ეყო, ქარავანმა ისიც ჩაყლაპა და კორდობას ქუჩებში ჯგუფური ფინიში ბოონენის გამარჯვებით დასრულდა.

დღეს „ვუელტაზე“ 42,5-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლაა სიუდად რეალში, შაბათ-კვირას კი პირველი სერიოზული მთებია — მრბოლები ანდორაში გადავლენ და პირინეების მწვერვალებს დალაშქრავენ.

მე-3 ეტაპი. ხაენი-კორდობა. 168,6კმ

1. ტომ ბოონენი (ბელგია, „ქვიკ სტეპი“)	4 სთ 25 წთ 24 წმ
2. დანიელე ბენატი (იტალია, „ლიქუიგასი“)	
3. ერიკ ცაბელი (გერმანია, „მილრამი“)	
4. კოლდო ფერნანდესი (ესპანეთი, „ეუსკალტელი“)	
5. ნიკოლას როუჩი (ირლანდია, „კრედიტ აგრიკოლა“)	ყველას იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1. დანიელე ბენატი (იტალია, „ლიქუიგასი“)	8 სთ 56 წთ 27 წმ
2. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაის დეპარნი“)	+7წმ
3. ტომ ბოონენი (ბელგია, „ქვიკ სტეპი“)	+10
4: ფილიპო პოცატო (იტალია, „ლიქუიგასი“)	+20
5. ეგოი მარტინესი (ესპანეთი, „ეუსკალტელი“)	+22

წინასწარი ოსალივანი

2008-09 წლების სეზონის პირველი სარეიტინგო ტურნირის, ჩრდილოეთ ირლანდიის ალაფის დასრულების შემდეგ სნუკერისტთა ახალი სეზონის პირველი წინასწარი რეიტინგი გამოქვეყნდა. რა გასაკვირია და კლასიფიკაციის სათავეში ჩრდილოირლანდიური შეჯიბრის გამარჯვებული, მსოფლიოს ჩემპიონი და ოფიციალური რეიტინგის ლიდერი რონი ოსალივანია.

ისევე, როგორც ოფიციალურ რეიტინგში, წინასწარ კლასიფიკაციაშიც ოსალივანს შოტლანდიელი სტივ მაგუაერი და ინგლისელები — შონ მერფი და მარკ სელბი უდგანან კვალში. აი, ამათ უკან კი ორ რეიტინგს შორის დიდი განსხვავებაა. დეტალებზე არ შევჩერდებით და სანიმუშოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანეთ. ოფიციალურ რეიტინგში 28-ე ადგილზე მყოფი დეივ ჰეროლდი, რომელმაც სენსაციურად უწია ჩრდილოირლანდიური ტურნირის ფინალს, ამ წარმატების წყალობით წინასწარ კლასიფიკაციაში მე-14 ადგილზეა. და პირიქით — ოფიციალური ნუსხის ელიტარული ხალხი, ისეთები, როგორებიც, ვთქვათ, ავსტრალიელი ნილ რობერტსონი და მსოფლიოს ექსჩემპიონები, ირლანდიელი კენ დოჰერტი და შოტლანდიელი გრემ დოტი არიან, წინასწარ რეიტინგში საკმაოდ დაბლა, შესაბამისად, 23-ე, 32-ე და 44-ე პოზიციებზე იმყოფებიან.

მთლიანობაში კი წინასწარი რეიტინგის პირველი ოცეული ასე გამოიყურება:

1. რონი ოსალივანი (ინგლისი)	34700
2. სტივ მაგუაერი (შოტლანდია)	28475
3. შონ მერფი (ინგლისი)	24400
4. მარკ სელბი (ინგლისი)	21950
5. ალისტერ კარტერი (ინგლისი)	21625
6. რეი ალენი (უელსი)	21325
7. ჯო პერი (ინგლისი)	20150
8. მარკო ფუ (ჰონკონგი)	18775
9. ჯონ ჰიგინსი (შოტლანდია)	18025
10. სტივ ჰენდრი (შოტლანდია)	17600
11. მარკ ალენი (ჩრდ. ირლანდია)	17575
12. მარკ უილიამსი (უელსი)	17000
13. დინ ჯუნხუ (ჩინეთი)	16569
14. დეივ ჰეროლდი (ინგლისი)	16244
15. პიტერ ებდონი (ინგლისი)	15675
16. ბარი ჰოუკინსი (ინგლისი)	15475
17. სტიუარტ ბინემი (ინგლისი)	15350
18. მარკ კინგი (ინგლისი)	14375
19. ჯეიმი კოუპი (ინგლისი)	14268
20. ნაიჯელ ბონდი (ინგლისი)	13850



დეივ ჰეროლდი

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

ლუის ჰემილტონი

სამეფო სპა სპაზე მიდის

რამდენიმე დღეც და „სამეფო რბოლების“ სამყარო ისევ ახმაურდება და პირველი ფორმულის ერთ-ერთ ყველაზე ეშხიან და ლეგენდარულ სპა-ფრანკოშარმის ტრასაზე ბელგიის დიდი პრიზი გათამაშდება.

შეგახსენებთ, რომ გენერალური კლასიფიკაციის სათავეში „მაკლარენ-მერსედესის“ ინგლისელი პილოტი ლუის ჰემილტონია, ხოლო გუნდურ ჩათვლაში „სკუდერია ფერარი“ ლიდერობს. ერთი კია — არც ჰემილტონის უპირატესობაა უზარმაზარი და „ფერარიც“ „მაკლარენს“ ოდენ 8 ქულას უგებს. არადა, ოთხი ეტაპით ადრე „სკუდერია“ ინგლისურ-გერმანულ საჯინიბოს 33 ქულით უსწრებდა, მაგრამ ამ ოთხი რბოლიდან „მაკებმა“ სამი მოიგეს, 72 შესაძლებლობიდან 55 ქულა გააკეთეს და ჩამორჩენა 8 ქულამდე დაიყვანეს. მართალია, ბოლო, ვალენსიაში გამართული ევროპის დიდი პრიზი „ფერარის“ ბრაზილიელმა ფელიპე მასამ მოიგო, მაგრამ მთლიანობაში „მაკლარენმა“ უფრო მეტი ქულა გააკეთა და „მერსედეს-მოტორსპორტის“ პრეზიდენტი ნორბერტ ჰაუგი სწორედ ამაზე ამახვილებს ყურადღებას ბელგიური რბოლის წინ.

„რა თქმა უნდა, ვალენსიაში მოგება გვინდოდა, მაგრამ მაინც კმაყოფილნი დავრჩით, 13 ქულა ავიღეთ და შევინარჩუნეთ ბოლო რბოლებში აღებული ტემპი — ბრძანა ჰაუგმა და დაამატა — სილვერსტოუნიდან მოყოლებული, ჩვენ 55 ქულა ავიღეთ 72 შესაძლებლიდან და „ფერარისთან“ ჩამორჩენა 33-იდან 8 ქულამდე დავიყვანეთ. რაც შეეხება პილოტთა კლასიფიკაციას, პირველ და მეოთხე ადგილებზე მყოფ მრბოლებს შორის სხვაობა მხოლოდ 15 ქულაა და ასეთი სიმჭიდროვე პოზიტიურად მოქმედებს ჩემპიონატის მსვლელობაზე. ახლა საკითხი ისე დგას, რომ გადამწყვეტი ბოლიდების საიმედოობა იქნება. სისწრაფე სისწრაფედ, მაგრამ სწორედ საიმედოობა გადაწყვეტს ჩემპიონატის ბედს“.

თავად ჩემპიონატის ლიდერი ლუის ჰემილტონი მოუთმენლად ელის ბელგიურ რბოლას და აცხადებს, რომ სპა მისი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ტრასაა. „სპა-ფრანკოშარმი ლეგენდარული ტრასაა და მე ის ძალიან მიყვარს. ჯერ კიდევ მანამდე, სანამ 2002 წელს „ფორმულა რენოს“ სერიით აქ პირველად გამოვიდოდი, კომპიუტერზე ვთამაშობდი და ძალიან მომწონდა ამ ტრასის პროფილი — განაცხადა ჰემილტონმა — სპას კონფიგურაციაში, ალბათ, ფორმულა 1-ის ყველაზე დიდებული და მომთხოვნი ვირაჟია და ეგეც არ იყოს, ეს არის ტრასა, სადაც ჭეშმარიტად შეიგრძნობ სიჩქარეს. სტარტი ტყეშია, შემდეგ ბორცვის თავზე ადიხარ, საიდანაც მთელ ტრასას შეიგრძნობ და დაბლა ეშვები. ეს მართლაც დიდებული შეგრძნებაა.“

კითხვაზე, ხომ არ განიცდის სინანულს იმის გამო, რომ ძველი, კლასიკური ტრასები მოდერნიზაციას განიცდის, ლუისმა ასე უპასუხა: „რა თქმა უნდა, სინანულის შეგრძნება არსებობს. მე სწორედ ისტორიულ ტრასებს ვანიჭებ უპირატესობას, ისეთებს, როგორებიცაა მონცა, სილვერსტოუნი, მონაკო... როდესაც ასეთ ტრასაზე დაქრიხარ, ჭეშმარიტად განიცდი ამ ადგილების მნიშვნელობას და მათ ისტორიას. ასეთ გზებს თავისებური, ნამდვილი ხასიათი აქვთ. ყოველთვის, როდესაც მათ ანახლებენ, ისინი კარგავენ თავიანთი ინდივიდუალობის გარკვეულ ნაწილს. თუმცა, ამავე დროს, ისინი უფრო უსაფრთხონი ხდებიან და სადღეისოდ სწორედ ეს გახლავთ უმნიშვნელოვანესი“.

ქახა ლომაძე

პრ ვიმალები

ბოლტის გადამკიდე პაუელმა 9,60 დაგეგმა

არცთუ შორეულ წარსულში მსოფლიოს უსწრაფეს ადამიანად შერაცხული ასაფა პაუელი დღეს საკუთარი თავის არჩდილიღაა. 26 წლის იამაიკელ სპრინტერს ოთხი წლით უმცროსმა თანამემამულემ უსაინ ბოლტმა რეკორდიც ჩამოართვა და თავის სატმეში პირველი კაცის სტატუსიც — ოლიმპიადაზე ისე ირბინა, რომ სხვა სპრინტერებს მუხლებში შიში ჩაუდგათ, ამ ელვასავით ბიჭს როგორ უნდა შეევჯიბროთო.

მაგრამ პაუელი ცდილობს, იხტიბარი არ გაიტეხოს და კიდევ გეგმავს ბოლტის გამოწვევას, ოლონდ ცოტა მაცალეთ, ტრავმები მოვიშუშო. რამდენიმე დღის წინ მან ბრიტანეთში, ქალაქ გეიტშიდში, გარმთულ მომცრო ტურნირზე 9,87 წამში ირბინა 100 მეტრი. რიგიანი შედეგია, ასეთი დრო მსოფლიოს ბევრ რჩეულ სპრინტერს ცხოვრებაში არ უჩვენებია, მაგრამ ბოლტს ამით ვერ დააშინებ — ეს ბიჭი 9,69 წამში ფარავს 100 მეტრს და თანაც ისე, რომ მთელი მსოფლიო ხვდება, უფრო სწრაფადაც რომ შეუძლია სირბილი.

პაუელი ახლა შვეიცარიულ ლოზანაშია და იქ შეკრებილ რამდენიმე სუპერვარსკვლავთან ერთად გრან პრისთვის ემზადება. პრეს-კონფერენციაც მოაწყო და ხალხს თავი შეახსენა, ჯერ ნუ ჩამომწერთ, ნურც პრესა და ნურც ჩემი მეტოქეებო.

„უსაინს, რა თქმა უნდა, ძალიან სწრაფად სირბილი შეუძლია, მაგრამ მე არ ვაპირებ ხელის ჩაქნევას და მის დაუმარცხებლად აღიარებას. ორი წლის წინ, როდესაც 9,80 წამს ქვემოთ სირბილი ყოველგვარი ძალდატანების გარეშე შემეძლო, საკუთარ თავს მიზნად დავუსახე 9,65 ნიშნული, მაგრამ უსაინს რომ ვუყურებ, პირადი სამიზნე უფრო დაბლა უნდა დავწიო და 9,60 წამს ქვემოთ სირბილი ვცადო. ვერ გეტყვით, ზუსტად სად გადის უსაინის ზღვარი, პეკინში ფინალი 9,69-ში ისე ირბინა, რომ 9,65-ის ან 9,63-ის ჩვენებასაც კი თავისუფლად შეეძლო. პირდაპირ შოკში ჩაგვაგდო ყველა. ახლა ისაა ჩემპიონი და ისეთი მეტოქე, რომლის დამარცხებასაც უნდა მივუძღვნა მთელი კარიერა, მაგრამ ყველას დამარცხება შეიძლება და მეც ვცდი ამას. ეს ორი სეზონი იდეალური ფორმიდან შორს ვდგავარ, ტრავმები მაქვს და თავს ბოლომდე ვერ ვაიძულებ მთელი სისწრაფის გამოვლენას. ეს მდგომარეობა ფსიქოლოგიურადაც მღლის. ოლიმპიადაზე 100 მეტრზე პირდაპირ ფინალით რომ დაგვეწყო და დაგვემთავრებინა, გაცილებით სწრაფად ვირბენდი და თქვენც არ მოგიწევდათ ჩემთვის მეხუთე ადგილის წარამარა შეხსენება. მაგრამ მე კვლავ აქტიური სპორტსმენი ვარ და შევეცდები, ბოლტს გავუსწრო, თუნდაც 2012 წელს ლონდონში, რომელიც ჩემთვის ალბათ უკანასკნელი ოლიმპიადა იქნება. თუ არა და, მანამდე უამრავი მომცრო ტურნირია, გრან პრის და ოქროს ლიგის ეტაპებზე მანიც ხომ ვირბენ? ადრე თუ გვიან აქაც შევხვდები ბოლტს. მე არ ვიმალები.“

ირაკლი ფირაზვილი

პოჭის ტრავმების ქრონიკა

ჯინობილის ოლიმპიადა სანანმგზელი გაუხდა



ოლიმპიური მედალი, რა თქმა უნდა, კმაყოფილების მომგვრელია და 2004 წლის ათენის ჩემპიონ არგენტინელებს წლეულს პეკინში ბრინჯაოც ეამათ. სიმართლე ითქვას, აშშ-სა და ესპანეთის კომპანიაში სწორედ რომ მესამე ადგილს იმსახურებდნენ. მაგრამ არგენტინელთა ლიდერ მანუ ჯინობილის პეკინის ბრინჯაოსთვის ძვირი საფასურის გადახდა მოუხდა.

არგენტინის ნაკრები ჯინობილის გარეშე წარმოუდგენელია და მანუმაც არ დააღალატა თავისიანები, როცა კოჭის საკმაოდ სერიოზულ ტრავმას წაუყრუა და პეკინში სრულად დატვირთვა თავისი 31 წლის სხეული, მაგრამ ტრავმა გაუმიზეზდა და ჯინობილი ნბა-ს დამდეგი სეზონის მოზრდილი ნაწილის გაცდენის რეალობას შეეჯახა. საჭიროა ოპერაცია, რომელიც უკეთეს შემთხვევაში 6-8 კვირას გააცდენინებს „სან ანტონიო სფურზის“ ერთ-ერთ ლიდერს და მისი გუნდი სავარაუდოდ მანუს გარეშე დაიწყებს 2008-09 რეგულარულ ჩემპიონატს, მაგრამ არის კალათბურთელის გაცილებით გრძელი ვადით გამოთიშვის ალბათობაც. „ექიმები ვერ მეუბნებიან, 8 კვირის შემდეგ შევძლებ თუ არა ნაოპერაციევი ფეხის ბოლომდე დატვირთვას. იქნებ ეს ვადა მხოლოდ სიარულის დასაწყებად მეყოს? მაშინ შეიძლება კიდევ ერთი თვე დასჭირდეს მოშუშებას.“

ჯინობილიმ კოჭი განვლილი სეზონის პლეი ოფში, დასავლეთის ფინალში „ლეიკერსთან“ ერთ-ერთ შეხვედრაში მიიღო და მოქმედმა ჩემპიონმა „სან ანტონიომ“ დიდწილად ამის გამოც პრაქტიკულად უბრძოლველად დათმო სერია. არადა, ჯინობილი მანამდე მძლარ ფორმაში იყო და წინა წრეში თავისიანებს ყოჩაღი „ნიუ ორლეანის“ დამარცხებაში მიეშველა.

„ოლიმპიადაზე წასვლა ძალიან მინდოდა, მაგრამ პირველ რიგში ნებართვა ვთხოვე „სფურზში“ ჩემს მწვრთნელ გრეგ პოპოვიჩს და მანაც გამიშვა. იქნებ ახლა ორივენი ვნანობთ, კარგად რომ არ დავფიქრდით. ალბათ იმიტომ, რომ ტრავმა სიარულში ხელს არანაირად არ მიშლიდა და მხოლოდ თამაშისას, სირბილის და ხტომის დროს მახსენებდა თავს. ახლა კი ირკვევა, რომ სახსარზე ოპერაციის გარეშე ვერ გამოვძვრები“ — შიშით ამბობს ჯინობილი.

პეკინში ის საუკეთესო იყო თავისიანთა შორის. მისი ლიდერობით არგენტინა ჯგუფში მხოლოდ ლიტვასთან დამარცხდა და ნახევარფინალში იოლად გავიდა, მაგრამ იქ მომავალ ჩემპიონ აშშ-სთან შეხვედრის პირველივე მეოთხედში ჯინობილიმ ტრავმა გაიმიზეზა და...

არგენტინელს შეშფოთების საფუძველი ნამდვილად აქვს. ეს დაახლოებით იმ ტიპის ტრავმაა, რომელმაც უნიჭიერეს გრანტ ჰილს ფაქტობრივად 27 წლისას დაასრულებინა ვარსკვლავური კარიერა. 2000 წლის შემდეგ აგერ რამდენი ხანია, ჰილი ექიმებში დარბის და ბოლომდე მაიც ვერ შველის თავს.

მონტას სამი თვით მოცდა მოუწევს



კოჭის ტრავმა კიდევ ერთ ვარსკვლავს გამოატოვებინებს სეზონის დასაწყისს. ჯინობილის მსგავსად „გოლდენ სტეიტ უორიორზის“ ერთ-ერთმა ლიდერმა მონტა ელისმაც დაიშავა ქუსლის და კოჭის არე და გუშინწინ სერიოზული ოპერაციის გაკეთებაც მოუხდა, რომლის სარეაბილიტაციო ვადად მინიმუმ სამი თვე დაუთქვეს. ანუ ელისი დაახლოებით დეკემბრისთვის შეძლებს თამაშს და მის გუნდს მთელი ნოემბერი ამ 20-ქულიანი ბიჭის გარეშე გაძლება მოუხდება.

23 წლის ელისს ზღაპრული სეზონი ჰქონდა — თამაშში საშუალოდ 20,2 ქულას, 5,0 მოხსნასა და 3,4 პასს აკეთებდა და ბაირონ დევისის შემდეგ „მეომართა“ მეორე ლიდერად ითვლებოდა, დევისის „კლიპერსში“ გადასვლის შემდეგ კი კლუბის შეფი კრის მულინი მასზე ჩავიდა ფსონს და მომავლის ლიდერად სწორედ ელისი დაისახა. მას გაუფორმეს ექვსწლიანი კონტრაქტი, წლიური 11-მილიონიანი ხელფასით, ელისი კი უკვე სეზონის დაწყებამდე დაიმტვრა...

„ჩვენ მაინც ვეცდებით, მის გარეშეც ბრძოლისუნარიანები ვიყოთ და ამის საშუალებას რამდენიმე კარგი ახალწვეული მოგვცემს — იმედს არ კარგავს მულინი — ერთ თვეს ცალ ფეხზე მდგარი გაძლებს კაცი. მთავარია, ეს ტრავმა მალე მოშუშდეს და მონტას მთელი სეზონი არ გააცდენინოს.“

ირაკლი ფირაზვილი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აბვლუდიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის-ფამფარი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge